

წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტური დანიშნულება და შესაბამისი უწყებები არ კისრულობენ რაიმე პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით

► **B** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 24 სექტემბრის
დირექტივა 2008/68/EC

სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვების შესახებ

(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

(ოფიციალური ჟურნალი L 260, 30.9.2008, გვ.13)

ცვლილება შეტანილია:

ოფიციალური ჟურნალი

		N ^o	გვერდი	თარიღი
► M1	კომისიის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება 2009/240/EC	L 71	23	17.3.2009
► M2	კომისიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება 2010/187/EU	L 83	24	30.3.2010
► M3	კომისიის 2010 წლის 2 სექტემბრის დირექტივა 2010/61/EU	L 233	27	3.9.2010
► M4	კომისიის 2011 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება 2011/26/EU	L 13	64	18.1.2011
► M5	კომისიის 2012 წლის 4 აპრილის შემსრულებელი გადაწყვეტილება 2012/188/EU	L 101	18	11.4.2012

▼B

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 24 სექტემბრის
დირექტივა 2008/68/EC

სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვების შესახებ

(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71-ე მუხლის საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე¹,

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა შეთანხმების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად²,

ვინაიდან,

- (1) საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ქმნის ავარიული სიტუაციების მნიშვნელოვან რისკს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება მსგავსი გადაზიდვების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- (2) საავტომობილო და სარკინიგზო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ერთიანი წესები განისაზღვრება საბჭოს 1994 წლის 21 ნოემბრის 94/55/EC დირექტივით სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ³ და საბჭოს 1996 წლის 23 ივლისის 96/49/EC დირექტივით სახიფათო ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ⁴.
- (3) ზოგადი რეჟიმის შექმნის მიზნით, რომელიც მოიცავს სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვის ყველა ტიპს, 94/55/EC და 96/49/EC დირექტივები შეიცვალა ერთი

¹ ოფიციალური ჟურნალი C 256, 27.10.2007, გვ. 44.

² ევროპარლამენტის 2007 წლის 5 სექტემბრის დასკვნა (ოფიციალური ჟურნალი C 187 E, 24.7.2008, გვ. 148), საბჭოს 2008 წლის 7 აპრილის საერთო პოზიცია (ოფიციალური ჟურნალი C 117 E, 14.5.2008, გვ. 1) და ევროპარლამენტის 2008 წლის 18 ივნისის პოზიცია (ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში).

³ ოფიციალური ჟურნალი L 319, 12.12.1994, გვ. 7.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 235, 17.9.1996, გვ. 25.

დირექტივით, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს შიდა საწყალოსნო გზებით გადაზიდვის წესებსაც.

- (4) წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა წარმოადგენს სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპის შეთანხმების (ADR) ხელშემკვრელ მხარეს, რომელზეც ვრცელდება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ რეგლამენტის (RID) მოქმედება, და შესაძლებლობის ფარგლებში, წარმოადგენს სახიფათო ტვირთების საერთაშორისო შიდა საწყალოსნო გადაზიდვების შესახებ ევროპის შეთანხმების (ADN) ხელშემკვრელ მხარეს.
- (5) ADR, RID და ADN განსაზღვრავენ საერთო წესებს სახიფათო ტვირთების საერთაშორისო უსაფრთხო გადაზიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წესები აგრეთვე უნდა გავრცელდეს ეროვნულ გადაზიდვებზე ევროპული გაერთიანების ფარგლებში სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ჰარმონიზაციის და ზოგადი სატრანსპორტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.
- (6) წინამდებარე დირექტივა არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციებში სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იქნება გადაზიდვაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებებისა და გემების მახასიათებლებითა თუ შეზღუდული თვისებებით.
- (7) მოცემული დირექტივით გათვალისწინებული დებულებები ასევე არ მოქმედებს შეიარაღებული ძალების მატერიალური პასუხისმგებლობის ქვეშ და პირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, შეიარაღებული ძალების კონტრაქტორი კომერციული ფირმების მიერ სახიფათო ტვირთების გადაზიდვა წარმოადგენს წინამდებარე დირექტივის საგანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას კისრულობენ შეიარაღებული ძალები.
- (8) წევრი სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია სარკინიგზო სისტემა, აგრეთვე არ არსებობს ახლო მომავალში მისი შექმნის პერსპექტივა, საკუთარ თავზე ღებულობს არათანაშეზომილ და არამიზანშეწონილ ვალდებულებას ეროვნულ კანონმდებლობაში სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით წინამდებარე დირექტივის დებულებების გადატანისა და გამოყენების შესახებ. ასეთი წევრი სახელმწიფო, სარკინიგზო სისტემის შექმნამდე, თავისუფლდება სარკინიგზო გადაზიდვების მიმართ მოცემული დირექტივის გადატანისა და გამოყენების ვალდებულებისგან.
- (9) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს არ გამოიყენოს წინამდებარე დირექტივა შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ მათი შიდა საწყალოსნო გზები არ იქნება დაკავშირებული სხვა წევრი სახელმწიფოების შიდა საწყალოსნო გზებთან, ან თუ სახიფათო ტვირთების გადაზიდვა არ განხორციელდება აღნიშნული გზით.

- (10) ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის და I.1 კარის I დანართის (1.9), II.1 კარის II დანართის (1.9) და III.1 კარის III დანართის (1.9) მოქმედებისთვის ყოველგვარი დაბრკოლების შექმნის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ ან მიიღონ ისეთი დამატებითი დებულებები გადაზიდვების უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც არ იქნება გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივით. ასეთი დებულებები უნდა იქნას წარმოდგენილი გასაგებად და კონკრეტულად.
- (11) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს დაარეგულიროს ან აკრძალოს საკუთარ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, გარდა უსაფრთხოების მიზნებისა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში ან გარემოს დაცვის მიზნით.
- (12) მესამე ქვეყნებში აღრიცხვაზე აყვანილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის მიზნით ნებადართულია ADR-ის, RID-ის და ADN-ის და წინამდებარე დირექტივის შესაბამისი დებულებების დაცვის პირობით.
- (13) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს მიმართოს კიდევ უფრო მკაცრ წესებს შიდა გადაზიდვების მიმართ, რომლებიც სრულდება საკუთარ ტერიტორიაზე აღრიცხვაზე აყვანილი ან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით.
- (14) სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვებთან დაკავშირებით გამოყენებული დებულებების ჰარმონიზაციისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული სახელმწიფოს თავისებურებანი. მოცემული დირექტივა აძლევს წევრ სახელმწიფოებს ზოგიერთი წესის ნაწილობრივ გაუქმების შესაძლებლობას გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში. აღნიშნული გაუქმების მითითება აუცილებელია მოცემულ დირექტივაში კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ წესების გაუქმების ჩამონათვალში.
- (15) საგანგებო სიტუაციების შექმნის შემთხვევაში წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება გასცენ ცალკეული ნებართვა საკუთარ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რაც სხვა შემთხვევებში აკრძალულია წინამდებარე დირექტივით.
- (16) მოცემულ სექტორში საჭირო ინვესტიციების დონის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დროებით შეინარჩუნონ ცალკეული ეროვნული სამშენებლო ნორმები და წესები სატრანსპორტო საშუალებებსა და აღჭურვილობასთან, აგრეთვე ლა-მანშის გვირაბით გადაზიდვებთან დაკავშირებით. წევრი სახელმწიფოებისთვის აგრეთვე ნებადართულია წევრი სახელმწიფოებისა და სარკინიგზო თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSJD) ხელშემკვრელ მხარე - სახელმწიფოებს შორის სახიფათო ტვირთების სარკინიგზო გზით გადაზიდვის დებულებების დაცვა და მიღება, საერთაშორისო სატვირთო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების (SMGS) II დანართით, წინამდებარე დირექტივის II.1 კარის II დანართის დებულებებით, და აღნიშნულიდან გამომდინარე, RID-ის დებულებებით დადგენილი წესების ჰარმონიზაციამდე. წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში

შესვლის მომენტიდან ათი წლის განმავლობაში ევროპულმა კომისიამ უნდა შეაფასოს მოცემული დებულებების გავლენა, და აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები. ასეთი დებულებები უნდა იქნას მითითებული წინამდებარე დირექტივის 'დამატებითი გარდამავალი დებულებების' ჩამონათვალში.

- (17) აუცილებელია წინამდებარე დირექტივის დანართებში შესაბამისი შესწორებების ოპერატიულად განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ შორის ახალი სათვალთვლო ტექნოლოგიების განვითარების შემთხვევაში, კერძოდ კი ADR, RID და ADN-ში შეტანილი ახალი დებულებების გათვალისწინება. ADR, RID და ADN-ში შეტანილი ცვლილებები კანონიერ ძალაში შედის დანართებში შეტანილ შესაბამის ცვლილებებთან ერთად. ევროპულმა კომისიამ უნდა გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს ADR, RID და ADN-ისა და წინამდებარე დირექტივის ცვლილებების მათ ოფიციალურ ენაზე თარგმანის ფინანსური მხარდაჭერა.
- (18) წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელი ზომების მიღება ხდება ევროპული საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ევროპული კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურებს¹.
- (19) კერძოდ კი, ევროპულ კომისიას უნდა მიენიჭოს წინამდებარე დირექტივის დებულებების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უფლებამოსილება. ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები ატარებს ზოგად ხასიათს და გათვლილია მოცემული დირექტივის მეორეხარისხოვანი დებულებების შეცვლაზე ახალი მეორეხარისხოვანი დებულებების დამატების გზით, მათი მიღება უნდა მოხდეს 1999/468/EC გადაწყვეტილების 5 ა მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
- (20) ევროპულ კომისიას ასევე უნდა შეეძლოს კონკრეტული სახელმწიფოების მიმართ წესების გაუქმების სიის გადასინჯვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება საგანგებო ღონისძიებების გამოყენებისა და განხორციელების შესახებ, უბედური შემთხვევებისა და საავარიო სიტუაციების შემთხვევაში.
- (21) ეფექტურობის თვალსაზრისით, წინამდებარე დირექტივის დებულებების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადები ექვემდებარება შემცირებას.
- (22) ვინაიდან წინამდებარე დირექტივის მიზნების, კერძოდ კი, ევროპული გაერთიანების ფარგლებში უსაფრთხოების ტექნიკის ჰარმონიზებული წესების ერთიანი გამოყენების უზრუნველყოფა, აგრეთვე ეროვნული და საერთაშორისო გადაზიდვების დროს უსაფრთხოების უმაღლესი დონის უზრუნველყოფა სათანადო სახით შეუძლებელია წევრი სახელმწიფოების მიერ, და მოცემული დირექტივის მასშტაბებისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით შეიძლება უფრო ეფექტურად იქნას

¹ ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

მიღწეული ევროპული გაერთიანების დონეზე, ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიმართოს სათანადო ზომებს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად. აღნიშნული მუხლით დადგენილი პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, მოცემული დირექტივა არ სცდება წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად აუცილებელ ჩარჩოებს.

- (23) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება არ აფერხებს ევროპული გაერთიანებისა და წევრი სახელმწიფოების ვალდებულების შესრულებას სახიფათო ნივთიერებების კლასიფიკაციის სისტემების ჰარმონიზაციის მიმართ სწრაფვასთან დაკავშირებით რიო-დე-ჟანეიროში 1992 წლის ივნისში გარემოს დაცვისა და განვითარების (UNCED) მიზნით ჩატარებულ გაეროს კონფერენციაზე წარმოდგენილი ამოცანების შესაბამისად.
- (24) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება არ აფერხებს ევროპული გაერთიანების ბიოლოგიური ნივთიერებებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გადაზიდვების უსაფრთხოების პირობების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედებას, რომლებიც რეგლამენტირებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკროორგანიზმების შეზღუდული გამოყენების შესახებ საბჭოს 1990 წლის 23 აპრილის 90/219/EEC დირექტივით¹, გარემოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახ გაშვების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 12 მარტის 2001/18/EC დირექტივით² და ბიოლოგიური ნივთიერებების ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი მუშაკების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 სექტემბრის 2000/54/EC დირექტივით³.
- (25) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება ხელს არ უშლის ევროპული გაერთიანების სხვა დებულებებს შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საკითხებში. კერძოდ კი, მოცემული დებულებების გამოყენება არ უქმნის საფრთხეს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებას, მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზომების მიღების შესახებ საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივას⁴ და მის დამატებით დირექტივებს.
- (26) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის 2006/87/EC დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკურ მოთხოვნებს შიდა მიმოსვლის გემების მიმართ⁵, ითვალისწინებს, რომ გემებზე, რომლებიც ფლობენ რაინზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესების (ADNR) თანახმად გაცემულ სერტიფიკატს, დასაშვებია სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე ამგვარ

¹ ოფიციალური ჟურნალი L 117, 8.5.1990, გვ. 1.

² ოფიციალური ჟურნალი L 106, 17.4.2001, გვ. 1.

³ ოფიციალური ჟურნალი L 262, 17.10.2000, გვ. 21.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 183, 29.6.1989, გვ. 1.

⁵ ოფიციალური ჟურნალი L 389, 30.12.2006, გვ. 1.

სერტიფიკატში მითითებული პირობებით. მოცემული დირექტივის მიღების შედეგად შესწორება შევა 2006/87/EC დირექტივაში აღნიშნული დებულების ამოღების მიზნით.

- (27) დასაშვებია ორ წლამდე ვადით გარდამავალი პერიოდი წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დებულებების გამოსაყენებლად შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, რაც საკმარისია ეროვნული დებულებების შესაბამისობაში მოსაყვანად, სამართლებრივი სტრუქტურის შესაქმნელად და პერსონალის მოსამზადებლად. ზოგადი გარდამავალი პერიოდი ხუთი წლის ვადით გათვალისწინებულია ყოველი ხომალდისა და პერსონალის სერტიფიკატის მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც გაიცემა გარდამავალ პერიოდამდე ან მის განმავლობაში წინამდებარე დირექტივის დებულებების გამოსაყენებლად შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, თუ სერტიფიკატით არ იქნება გათვალისწინებული მოქმედების უფრო მოკლე ვადა.
- (28) აღნიშნულის შედეგად, გაუქმდა დირექტივები 94/55/EC და 96/49/EC. სიზუსტისა და თანმიმდევრობის დაცვის მიზნით ასევე უნდა გაუქმდეს საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტანტების დანიშვნისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ საბჭოს 1996 წლის 3 ივნისის 96/35/EC დირექტივა¹, საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტანტების მიმართ მინიმალური საატესტაციო მოთხოვნების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 17 აპრილის 2000/18/EC დირექტივა², კომისიის 2005 წლის 4 მარტის 2005/263/EC გადაწყვეტილება, რომელიც ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს 94/55/EC დირექტივით გათვალისწინებული დებულებების ნაწილობრივი გაუქმების უფლებამოსილებას სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების მიმართ³ და კომისიის 2005 წლის 4 მარტის 2005/180/EC გადაწყვეტილება, რომელიც ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს საბჭოს 96/49/EC დირექტივის დებულებების ნაწილობრივი გაუქმების უფლებამოსილებას სახიფათო ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვების მიმართ⁴.
- (29) საკანონმდებლო მუშაობის სრულყოფის ინტერინსტიტუციონალური შეთანხმების⁵ 34-ე მუხლის შესაბამისად ხდება წევრი სახელმწიფოების ხელშეწყობა როგორც საკუთარი მიზნებისთვის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესებისთვის ცხრილების შედგენასა და გამოქვეყნებაში, რომლებიც შეძლებისდაგვარად წარმოადგენს წინამდებარე დირექტივის შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანასთან და გაასაჯაროვებს მას,

¹ ოფიციალური ჟურნალი L 145, 19.6.1996, გვ. 10.

² ოფიციალური ჟურნალი L 118, 19.5.2000, გვ. 41.

³ ოფიციალური ჟურნალი L 85, 2.4.2005, გვ. 58.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 61, 8.3.2005, გვ. 41.

⁵ ოფიციალური ჟურნალი L 321, 31.12.2003, გვ. 1.

მიიღეს წინამდებარე დირექტივა

მუხლი 1
მოქმედების არეალი

1. წინამდებარე დირექტივა გამოიყენება საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა საწყალოსნო გზებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ან მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოების, ერთი ტიპის ტრანსპორტიდან მეორეზე გადატანის და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გარემოებებით გამოწვეული გაჩერებების ჩათვლით.

წინამდებარე დირექტივა არ მოქმედებს სახიფათო ტვირთების შემდეგი გადაზიდვების მიმართ:

(ა) ავტოტრანსპორტით, სატვირთო ვაგონებით ან გემებით, რომლებიც ეკუთვნის შეიარაღებულ ძალებს;

(ბ) საზღვაო ხომალდებით საზღვაო საწყალოსნო გზებზე, რომლებიც წარმოადგენს შიდა საწყალოსნო გზების ნაწილს;

(გ) ბორანით მხოლოდ შიდა საწყალოსნო გზების ან ნავსადგურების გადაკვეთისას; ან

(დ) მხოლოდ დახურულ ტერიტორიაზე.

2. II.1 კარის II დანართი არ მოქმედებს იმ წვერი სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ სარკინიგზო სისტემა, მათ ტერიტორიაზე ამ სისტემის შექმნის მომენტამდე.

3. წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში წვერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება III.1 კარის III დანართის გამოუყენებლობის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მიზეზით:

(ა) მათ ტერიტორიაზე არ არის შიდა საწყალოსნო გზები;

(ბ) მათი შიდა საწყალოსნო გზები არ არის დაკავშირებული შიდა საწყალოსნო გზებით სხვა წვერი სახელმწიფოების შიდა საწყალოსნო გზებთან; ან

(გ) მათი შიდა საწყალოსნო გზებით არ ხორციელდება სახიფათო ტვირთების გადაზიდვა.

იმ შემთხვევაში, თუ წვერი სახელმწიფო მიიღებს გადაწყვეტილებას III.1 კარის III დანართის დებულებების გამოუყენებლობის შესახებ, აღნიშნული წვერი სახელმწიფო შეატყობინებს მითითებული გადაწყვეტილების შესახებ ევროკომისიას, რომელიც, თავის მხრივ, აცნობებს ამ ინფორმაციას სხვა წვერ სახელმწიფოებს.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ უსაფრთხოების ტექნიკის განსაკუთრებული მოთხოვნები სახიფათო ტვირთების შიდა და საერთაშორისო გადაზიდვების მიმართ საკუთარ ტერიტორიაზე შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
- (ა) სახიფათო ტვირთების გადაზიდვა სატრანსპორტო საშუალებებით, სატვირთო ვაგონებით ან შიდა საწყალოსნო გემებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივით;
 - (ბ) დასაბუთების შემთხვევაში, დადგენილი მარშრუტის გამოყენება, მათ შორის შერჩეული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება;
 - (გ) სამგზავრო მატარებლებში სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული სპეციალური წესები;
- აღნიშნული წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან აცნობონ ევროკომისიას ასეთი პირობების არსებობის შესახებ და მოახდინონ მათი დასაბუთება.
5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაარეგულირონ ან აკრძალონ სახიფათო ტვირთების გადაზიდვა საკუთარ ტერიტორიაზე საგზაო უსაფრთხოების მკაცრად გამონაკლისი შემთხვევებისგან განსხვავებულ საფუძველზე.

მუხლი 2 **განმარტებები**

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, ქვემოთ წარმოდგენილ ტერმინებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა:

1. ‘ADR’ - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ, რომელიც გაფორმდა ჟენევაში 1957 წლის 30 სექტემბერს, აღნიშნულ შეთანხმებაში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად;
2. ‘RID’ - რეგლამენტი სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ, წარმოდგენილი სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ კონვენციის (COTIF) გ დანართის სახით, რომელიც მიღებული იქნა ვილნიუსში, 1999 წლის 3 ივნისს, მასში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად;
3. ‘ADN’ - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების შიდა საწყალოსნო გზებით გადაზიდვის შესახებ, რომელიც გაფორმდა ჟენევაში, 2000 წლის 26 მაისს, მასში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად;
4. ‘სატრანსპორტო საშუალება’ - ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება გზაზე, რომელსაც გააჩნია მინიმუმ ოთხი ბორბალი და მოძრაობის მაქსიმალური საანგარიშო სიჩქარე აღემატება 25 კმ/სთ-ს, აგრეთვე ნებისმიერი მისაბმელი, გარდა სარკინიგზო ურიკებისა, თვითმავალი სატრანსპორტო საშუალებებისა, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების

ტრაქტორებისა, რომელთა სიჩქარე სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას არ აღემატება 40 კმ/სთ-ს.

5. 'სატვირთო ვაგონი' - ნებისმიერი სარკინიგზო ტრანსპორტი საკუთარი ძალოვანი დანადგარის გარეშე, რომელიც გადაადგილდება საკუთარ ბორბლებზე სარკინიგზო ლიანდაგებზე და განკუთვნილია ტვირთების გადასაზიდად.
6. 'ხომალდი' - ნებისმიერი შიდა საწყალოსნო ან საზღვაო ხომალდი.

მუხლი 3

ზოგადი დებულებები

1. მე-6 მუხლით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის გარეშე, სახიფათო ტვირთების გადაზიდვა არ შეიძლება, რამდენადაც ეს აკრძალულია I.1 კარის I დანართით, II.1 კარის II დანართით და III.1 კარის III დანართით.
2. ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების ან ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით ზოგადად მიღებული წესების დარღვევის გარეშე, სახიფათო ტვირთების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს სათანადო ნებართვების საფუძველზე I.1 კარის I დანართით, II.1 კარის II დანართით და III.1 კარის III დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 4

მესამე ქვეყნები

სახიფათო ტვირთების გადაზიდვა წევრ სახელმწიფოებსა და მესამე ქვეყნებს შორის ნებადართულია, რამდენადაც ეს შეესაბამება ADR-ის, RID-ის და ADN-ის მოთხოვნებს, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული დანართებში.

მუხლი 5

შეზღუდვები გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველზე

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმართონ უფრო მკაცრ დებულებებს, გარდა კონსტრუქციული მოთხოვნებისა, სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვებთან დაკავშირებით იმ სატრანსპორტო საშუალებებით, სატვირთო ვაგონებით და შიდა საწყალოსნო ხომალდებით, რომლებიც რეგისტრირებულია ან იმყოფება ექსპლუატაციაში მათ ტერიტორიაზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ საავარიო სიტუაციის შექმნის ან უბედური შემთხვევის დროს წევრი სახელმწიფო ჩათვლის საკუთარ ტერიტორიაზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოქმედ დებულებებს არასაკმარისად გადაზიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, აღნიშნულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს ევროპულ კომისიას ინფორმაცია შეთავაზებული ზომების შესახებ მათი დაგეგმვის ეტაპზე.

მოქმედებს რა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, ევროპული კომისია დებულობს გადაწყვეტილებას შეთავაზებული ზომების გამოყენების ნებართვასთან დაკავშირებით და აღნიშნული ნებართვის მოქმედების ვადის შესახებ.

მუხლი 6 **ნაწილობრივ გაუქმება**

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან სხვა ენების გამოყენება, გარდა დანართებში მითითებული ენებისა, მათ ტერიტორიაზე გადაზიდვების განხორციელების დროს.
2. (ა) თუ აღნიშნული არ მოახდენს გავლენას უსაფრთხოების დონეზე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ I.1 კარის I დანართით, II.1 კარის II დანართით და III.1 კარის III დანართით გათვალისწინებული დებულებების ნაწილობრივი გაუქმება, მათ ტერიტორიაზე მცირე მოცულობის გარკვეული სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, საშუალო ან მაღალი ხარისხის რადიოაქტივობის მქონე ნივთიერებების გარდა, იმ პირობით, რომ მოთხოვნები ასეთი გადაზიდვების მიმართ არ იქნება უფრო მკაცრი, ვიდრე მოცემული დანართებით გათვალისწინებული პირობებია.
 - (ბ) თუ აღნიშნული არ ახდენს გავლენას უსაფრთხოების დონეზე, წევრ სახელმწიფოებს აგრეთვე შეუძლიათ მოითხოვონ I.1 კარის I დანართით, II.1 კარის II დანართით და III.1 კარის III დანართით გათვალისწინებული დებულებების ნაწილობრივი გაუქმება მათ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით შემდეგ შემთხვევებში:
 - (i) ადგილობრივი გადაზიდვები მოკლე მანძილზე; ან
 - (ii) სარკინიგზო გადაზიდვები ადგილობრივი ტრანსპორტით კონკრეტული მარშრუტით, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სამრეწველო პროცესის ნაწილს და ზედმიწევნით კონტროლდება მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ევროპული კომისია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამოწმებს არის თუ არა დაცული (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებული პირობები და, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ნაწილობრივი გაუქმების შესახებ, აგრეთვე კონკრეტული სახელმწიფოებისთვის წესების ნაწილობრივი გაუქმების სიის დამატების შესახებ I.3 კარის I დანართში, II.3 კარის II დანართში და III.3 კარის III დანართში.

3. მე-2 მუხლით გათვალისწინებული ნაწილობრივი გაუქმება ძალაშია ნებართვის გაცემიდან არაუმეტეს ექვსი წლის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი უნდა იყოს მითითებული ნებართვაში. მოქმედი ნაწილობრივი გაუქმების შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია I.1 კარის I დანართში, II.1 კარის II დანართში და III.1 კარის III დანართში, ნებართვის გაცემის თარიღად ითვლება 2009 წლის 30 ივნისი. თუ

სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ნაწილობრივი გაუქმება ძალაშია ექვსი წლის განმავლობაში.

ნაწილობრივი გაუქმება გამოიყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

4. ნაწილობრივი გაუქმების მოქმედების გაგრძელების შესახებ წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის შემთხვევაში ევროპული კომისია განმეორებით განიხილავს ნაწილობრივი გაუქმების საკითხს.

თუ I.1 კარის I დანართში, II.1 კარის II დანართში და III.1 კარის III დანართში არ მოხდება ცვლილებების შეტანა ნაწილობრივ გაუქმებასთან დაკავშირებით, ევროპული კომისია, მოქმედებს რა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, აგრძელებს ნებართვის მოქმედების ვადას შემდგომი პერიოდით, რომელიც შეადგენს ნებართვის გაცემიდან არაუმეტეს ექვს წელს; აღნიშნული პერიოდი უნდა იყოს მითითებული ნებართვაში.

I.1 კარის I დანართში, II.1 კარის II დანართში და III.1 კარის III დანართში ნაწილობრივ გაუქმებასთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ევროპულ კომისიას, იმოქმედებს რა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, შეუძლია:

- ა) გამოაცხადოს ნაწილობრივი გაუქმება მოძველებულად და ამოიღოს ის შესაბამისი დანართიდან;
- ბ) შეზღუდოს ნებართვის მოქმედების სფერო და შეიტანოს ცვლილებები შესაბამის დანართში;
- გ) განაახლოს ნებართვის მოქმედება შემდგომ პერიოდზე ნებართვის გაცემიდან არაუმეტეს ექვსი წლის ვადით; ეს პერიოდი უნდა იქნას მითითებული ნებართვაში.

5. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს არ იმოქმედებს უსაფრთხოების დონეზე, გასცეს ცალკეული ნებართვები საკუთარ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც აკრძალულია წინამდებარე დირექტივით, ან იმ გადაზიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდება წინამდებარე დირექტივისგან განსხვავებული პირობებით, ასეთი ნებართვები უნდა იყოს განკუთვნილი კონკრეტული გადაზიდვების მიმართ და შეზღუდული დროში.

მუხლი 7

გარდამავალი დებულებები

1. საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონიერ ძალაში დატოვონ I.2 კარის I დანართის, II.2 კარის II დანართის ან III.2 კარის III დანართით გათვალისწინებული დებულებები.

აღნიშნული დებულებების ძალაში დატოვების შესახებ წევრი სახელმწიფო ვალდებულია აცნობოს ევროპულ კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, გაუგზავნის შესაბამის ინფორმაციას სხვა წევრ სახელმწიფოებს.

- პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ არ გამოიყენონ III.1 კარის III დანართით გათვალისწინებული დებულებები 2011 წლის 30 ივნისამდე. აღნიშნული წევრი სახელმწიფოები შიდა საწყალოსნო გზებთან დაკავშირებით აგრძელებენ 96/35/EC და 2000/18/EC დირექტივების დებულებების გამოყენებას, რომლებიც წარმოდგენილია კანონიერ ძალაში 2009 წლის 30 ივნისიდან.

მუხლი 8 **ადაპტირება**

- ცვლილებები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დანართებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მათ შორის სახიფათო ტვირთების გადაზიდვების სფეროში ახალი სათვალთვალო ტექნოლოგიების განვითარების შემთხვევაში, კერძოდ კი ADR-ში, RID-სა და ADN-ში შეტანილი ახალი დებულებების გათვალისწინებით, მიიღება მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
- აუცილებლობის შემთხვევაში, ევროპულმა კომისიამ უნდა გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს ADR-ის, RID-ის და ADN-ის და მათი ცვლილებების ამ სახელმწიფოების ოფიციალურ ენაზე თარგმანის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 9 **კომიტეტის მოქმედების წესი**

- ევროკომისიის მუშაობას ხელს უწყობს სახიფათო ტვირთების გადაზიდვების საკითხების კომიტეტი.
- წინამდებარე პუნქტზე მითითების გაკეთებისას გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, აგრეთვე წინამდებარე დირექტივის მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.
1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პერიოდი შეადგენს სამ თვეს.
- წინამდებარე პუნქტზე მითითების გაკეთებისას გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა(1)-(4) და მე-(5)(ბ) მუხლები და მე-7 მუხლი, აგრეთვე გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივის მე-8 მუხლის დებულებები.
1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა(3)(გ) და 4(ბ) და (ე) მუხლებში მითითებული პერიოდი შესაბამისად შეადგენს ერთ თვეს, ერთ თვეს და ორ თვეს.

*მუხლი 10***გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში**

1. არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივნისისა წევრ სახელმწიფოებს კანონიერ ძალაში შეჰყავთ საკანონმდებლო, მარეგლამენტირებელი და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, და დაუყოვნებლივ აცნობებენ ევროკომისიას ასეთი დებულებების მიღების შესახებ.

მიღებული დებულებები უნდა ითვალისწინებდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან ასეთი მითითება უნდა იყოს აღნიშნული ოფიციალური გამოქვეყნების დროს. მითითებების აღნიშვნის წესი განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ.

2. წევრი სახელმწიფოები აცნობენ ევროპულ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის ახალი დებულებების ტექსტს, რომელიც ეხება წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროს.

*მუხლი 11***შესწორებები**

წინამდებარე დირექტივით გაქულმდა 2006/87/EC დირექტივის მე-6 მუხლი.

*მუხლი 12***გაუქმება**

1. 94/55/EC, 96/49/EC, 96/35/EC და 2000/18/EC დირექტივები გაუქმდა წინამდებარე დოკუმენტით 009 წლის 30 ივნისიდან.

გაუქმებული დირექტივების დებულებების შესაბამისად გაცემული სერტიფიკატები ძალაშია მათი მოქმედების ვადის გასვლამდე.

2. წინამდებარე დირექტივით გაუქმდა გადაწყვეტილებები 2005/263/EC და 2005/180/EC.

*მუხლი 13***კანონიერ ძალაში შესვლა**

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვს.

*მუხლი 14***ადრესატები**

წინამდებარე დირექტივა ეგზავნება წევრ სახელმწიფოებს.

▼B*დანართი I***საგზაო გადაზიდვები****▼M3****I.1 ADR**

ADR-ის ა და ბ დანართებში, რომლებიც კანონიერ ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან, იგულისხმება, რომ 'ხელშემკვრელი მხარე' შეცვლილია 'წევრ სახელმწიფოდ'.

▼B**I.2 დამატებითი გარდამავალი დებულებები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია კანონიერ ძალაში დატოვონ ნაწილობრივი გაუქმება, რომელიც გამოიყენება 94/55/EC დირექტივის მე-4 მუხლის საფუძველზე, 2010 წლის 31 დეკემბრამდე, ან თუ ეს უფრო ადრე მოხდება, I.1 კარის I დანართში ცვლილებების შეტანამდე, სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით გაეროს რეკომენდაციბთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომელზეც გაკეთებულია მითითება მოცემულ მუხლში.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ნებართვა მის ტერიტორიაზე 1997 წლის 1 იანვრამდე დამზადებული ავტოცისტერნებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს, მაგრამ გამოშვებულია 1996 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ეროვნული მოთხოვნების თანახმად, ასეთი ავტოცისტერნებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის პირობით.

1997 წლის 1 იანვრამდე დამზადებული ავტოცისტერნები და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს, მაგრამ გამოშვებულია 94/55/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა მათი გამოშვების მომენტისთვის, შეიძლება შემდგომში გამოყენებულ იქნას შიდა გადაზიდვებისთვის.
3. წევრ სახელმწიფოს, სადაც გარემოს ტემპერატურა მუდმივად -20°C -ზე დაბლაა, შეუძლია საკუთარ ტერიტორიაზე გამოიყენოს უფრო მკაცრი ნორმები იმ მასალების სამუშაო ტემპერატურის მიმართ, რომლებიც გამოიყენება სახიფათო ტვირთების შიდა საავტომობილო გადაზიდვებისას გამოსაყენებლად განკუთვნილი პლასტიკური შეფუთვის, ავტოცისტერნებისა და მათი აღჭურვილობის დასამზადებლად, წინამდებარე დირექტივის I.1 კარის I დანართში მოცემული კლიმატური ზონებისთვის შესაბამისი ნომინალური ტემპერატურების შესახებ დებულებების შეტანამდე.

4. წევრ სახელმწიფოებს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში შეუძლიათ დაიცვან ის ეროვნული დებულებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივით ნომინალური ტემპერატურების მიმართ გათხევადებული აირების ან გათხევადებული აირების ნარევების გადაზიდვისას, ევროპულ სტანდარტებსა და წინამდებარე დირექტივის I.1 კარის I დანართში აღნიშნული კლიმატური რაიონებისთვის შესაბამისი ნომინალური ტემპერატურების შესახებ დებულებების შეტანამდე.
5. საკუთარ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვებთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაიცვან 1996 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესის აღნიშვნის შესახებ ან სახიფათო ტვირთის აღმნიშვნელი ფირფიტის განთავსების შესახებ საშიშროების კლასის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების ადგილზე, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივის I.1 კარის I დანართში.
6. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ძალაში დატოვონ ეროვნული შეზღუდვები დიოქსინებისა და ფურანების შემცველი ნივთიერებების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულია 1996 წლის 31 დეკემბერს.

▼M5

I.3 ეროვნული ნაწილობრივი გაუქმება

წევრი სახელმწიფოების მიმართ ნაწილობრივი გაუქმება გამოიყენება მათ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით 2008/68/EC დირექტივის მე-6(2) მუხლის საფუძველზე.

ნაწილობრივი გაუქმებების ნუმერაცია: RO-a/bi/bii-MS-nn

RO = გზა;

a/bi/bii = მუხლი 6(2) a/bi/bii;

MS = შემოკლებით წევრი სახელმწიფო

nn = რიგითი ნომერი.

2008/68/EC დირექტივის მე-6(2)(a) მუხლის საფუძველზე:

BE ბელგია

RO-a-BE-1

საგანი: კლასი 1 - მცირე მოცულობა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 1.1.3.6.

დირექტივის დანართის შინაარსი: ქვეპუნქტი 1.1.3.6 ზღუდავს სამთო მრეწველობისთვის განკუთვნილი ფეთქებადი ნივთიერებების რაოდენობას 20 კგ-მდე, რომელთა გადატანაც ნებადართულია ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: საბადოების დამამუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც მოშორებულია მომარაგების პუნქტებიდან, ნებადართულია 25 კგ დინამიტის ან მძლავრი ფეთქებადი ნივთიერებისა და 300 დეტონატორის გადატანა ჩვეულებრივი ტრანსპორტით აფეთქების მომსახურების გამწევი სამსახურების მიერ დადგენილი პირობების დაცვის შემთხვევაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Article 111 de l'arrêté royal 23 septembre 1958 sur les produits explosifs.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-BE-2

საგანი: ცარიელი გაუსუფთავებელი კონტეინერების გადაზიდვა სხვადასხვა კლასის პროდუქციის გადაზიდვის შემდეგ.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.1.6.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მითითება სატრანსპორტო დოკუმენტში “ცარიელი გაუსუფთავებელი ტარა სხვადასხვა კლასის პროდუქციის გადაზიდვის შემდეგ“.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Derogation 6-97.*

შენიშვნა: ნაწილობრივი გაუქმება რეგისტრირებულია ევროპული კომისიის მიერ №21 (94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის საფუძველზე).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-BE-3

საგანი: RO-a-UK-4-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-BE-4

საგანი: გათავისუფლება ADR-ის ყველა მოთხოვნისგან არაუმეტეს 1000 კვამლის იონის გამოყენებული დეტექტორის გადაზიდვასთან დაკავშირებით კერძო მომხმარებლებიდან ბელგიის გადამამუშავებელ ქარხანაში, რაც გათვალისწინებულია საკვამლე დეტექტორების არჩევითი შეკრების გეგმით.

მითითება ADR-ზე: ყველა მოთხოვნა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კვამლის იონის დეტექტორების საყოფაცხოვრებო გამოყენება არ ექვემდებარება რადიოლოგიურ კონტროლს, თუ ისინი მიეკუთვნება ნებადართულ ტიპს. ასეთი კვამლის დეტექტორების გადაზიდვა საბოლოო მომხმარებელამდე ასევე ამოღებულია ADR-ის მოთხოვნებიდან (იხ. ქვეპუნქტი 2.2.7.1.2(დ)).

WEEE (ელექტრული და ელექტრონული აღჭურვილობის ნარჩენების შესახებ) 2002/96/EC დირექტივა მოითხოვს გამოყენებაში მყოფი კვამლის დეტექტორების შერჩევით შეკრებას სქემური პლატებისა და კვამლის იონის დეტექტორების გადასამუშავებლად რადიოაქტიური ნივთიერებების ამოღების მიზნით. ასეთი არჩევითი შეკრების განხორციელების მიზნით შემუშავებულია კერძო პირების სტიმულირების გეგმა შეკრების პუნქტებზე გამოყენებაში მყოფი კვამლის დეტექტორების ჩაბარების მიზნით, საიდანაც ხდება დეტექტორების გადატანა გადამამუშავებელ ქარხანაში, ზოგჯერ შეკრების მეორე პუნქტიდან ან შუალედური საწყობიდან.

შეკრების პუნქტებში უნდა იყოს ლითონის ტარა, რომელიც ითავსებს არაუმეტეს 1000 კვამლის დეტექტორს. ამ პუნქტებიდან ნებადართულია კვამლის დეტექტორებით ერთი ერთეული ტარის გადაზიდვა სხვა ნარჩენებთან ერთად შუალედურ საწყობში ან გადამამუშავებელ ქარხანაში. ასეთი ტარის მარკირება ხდება სიტყვებით “კვამლის დეტექტორი”.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *კვამლის დეტექტორების შერჩევითი შეკრების გეგმა შეადგენს ნებადართული ხელსაწყოების გატანის პირობების ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია 2001 წლის 20 ივლისის სამეფო ბრძანებულების მუხლით 3.1.d.2: ზოგადი დებულებები რადიაციული დაცვის შესახებ.*

შენიშვნა: ნაწილობრივი გაუქმება საჭიროა გამოყენებაში მყოფი კვამლის იონის დეტექტორების შერჩევითი შეგროვების განსახორციელებლად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

DE გერმანია

RO-a-DE-1

საგანი: ავტომობილის ნაწილების შერეული შეფუთვა და შერეული დატვირთვა 1.4G კლასიფიკაციით განსაზღვრულ სახიფათო ტვირთებთან ერთად (n4).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 4.1.10 და 7.5.2.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებები შერეული შეფუთვისა და შერეული დატვირთვის შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გაეროს №0431 და გაეროს №0503 ტვირთის დატვირთვა შეიძლება განხორციელდეს განსაზღვრულ სახიფათო ტვირთებთან ერთად (ავტომობილების წარმოებასთან დაკავშირებული პროდუქცია), გარკვეული რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულია გამონაკლისების სიაში. რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (1.1.3.6.4 ქვეპუნქტთან შედარებით).

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 28.*

შენიშვნა: გაუქმება საჭიროა ავტომობილის უსაფრთხოების სისტემების დეტალების სასწრაფოდ მიწოდების მიზნით ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად. პროდუქციის ფართო ასორტიმენტის გამო მისი შენახვა ადგილობრივ ფარეხებში არ არის ზოგადად მიღებული.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-DE-2

საგანი: მოთხოვნის გაუქმება სატრანსპორტო დოკუმენტისა და ტვირთის გამგზავნის დეკლარაციის ტარებასთან დაკავშირებით სახიფათო ტვირთების გარკვეულ რაოდენობაზე, რომელიც მითითებულია ქვეპუნქტში 1.1.3.6(n1).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 5.4.1.1.1 და 5.4.1.1.6.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტის შინაარსი.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ყველა კლასისთვის, გარდა მე-7 კლასისა: სატრანსპორტო დოკუმენტი არ მოითხოვება, თუ გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა არ აღემატება 1.1.3.6 ქვეპუნქტში მითითებულს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 18.*

შენიშვნა: შიდა გადაზიდვებისთვის საკმარისად ითვლება ინფორმაცია, რომელიც მითითებულია მარკირებასა და ეტიკეტზე, რადგან სატრანსპორტო დოკუმენტი ყოველთვის არ შეესაბამება ადგილობრივ სარეალიზაციო პირობებს.

ნაწილობრივი გაუქმება რეგისტრირებულია ევროპული კომისიის მიერ №22 (94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის საფუძველზე).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-DE-3

საგანი: საზომი ეტალონებისა და საწვავის ტუმბოების გადაზიდვა (ცარიელი, გაუწმინდავი).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დებულებები გაეროს ნომრებისთვის 1202, 1203 და 1223.

დირექტივის დანართის შინაარსი: ტარა, მარკირება, დოკუმენტაცია, მითითებები გადაზიდვასა და მოვლასთან დაკავშირებით, სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის ინსტრუქტაჟი.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: შესაბამისი რეგლამენტების ტექნიკური პირობები და დამატებითი დებულებები ნაწილობრივი გაუქმების გამოყენებასთან დაკავშირებით;

1000 ლ-მდე: ცარიელ გაუწმინდავ ტარასთან შედარებით; 1000 ლ-ზე მეტი: ავტოცისტერნებთან დაკავშირებით გარკვეული რეგლამენტების შესაბამისად; მხოლოდ ცარიელი და გაუწმინდავი ტარის გადასაზიდად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmereordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 24.*

შენიშვნა: სიის ნომრები 7, 38, 38ა.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-DE-5

საგანი: კომბინირებული შეფუთვის გამოყენების ნებართვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 4.1.10.4 MP2.

დირექტივის დანართის შინაარსი: კომბინირებული შეფუთვის გამოყენების აკრძალვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კლასები 1.4S, 2, 3 და 6.1; 1.4S კლასის ნაკეთობების (მცირეკალიბრიანი იარაღის ვაზნები), აეროზოლების (კლასი 2) და მე-3 და 6.1-ე კლასის სარეცხი ნივთიერებების კომბინირებული შეფუთვის ნებართვა (გაეროს ნომრების სია), რომელთა რეალიზაცია ნებადართულია II ჯგუფის ტარის კომბინირებულ შეფუთვაში და მცირე რაოდენობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmereordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 21.*

შენიშვნა: სიის №30*, 30ა, 30ბ, 30გ, 30დ, 30ე, 30ვ, 30ზ.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

DK დანია

RO-a-DK-1

საგანი: კერძო პირებისგან და გარკვეული საწარმოებისგან შეგროვებული ნარჩენების ან სახიფათო ტვირთების ნარჩენების შემცველი ტარის ან კონტეინერების საავტომობილო გადაზიდვა მათი უტილიზაციის მიზნით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ნაწილები 2, 3, 4.1, 5.2, 5.4 და 8.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: კლასიფიკაციის პრინციპები, განსაკუთრებული დებულებები, დებულებები შეფუთვის შესახებ, დებულებები მარკირების შესახებ, სატრანსპორტო დოკუმენტი და პერსონალის მომზადება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: პირველადი შეფუთვა ან კონტეინერები ნარჩენებით ან სახიფათო ტვირთების ნარჩენებით, რომლებიც შეგროვებულია კერძო პირებისგან ან გარკვეული საწარმოებისგან შეიძლება ერთად იყოს მოთავსებული შეფუთვაში. ყოველი პირველადი შეფუთვის და/ან ყოველი შიდა შეფუთვის შიგთავსი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ მასას ან მოცულობას. კლასიფიკაციის, შეფუთვის,

მარკირების, დოკუმენტაციისა და პერსონალის მომზადების შესახებ დებულებების ნაწილობრივი გაუქმება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bekendtgørelse nr. 437 af 6. juni 2005 om vejtransport af farligt gods, § 4 stk. 3.*

შენიშვნა: ნარჩენების ან სახიფათო ტვირთის გადაზიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც შეგროვებულია კერძო პირებისგან და გარკვეული საწარმოებისგან მათი უტილიზაციის მიზნით, შეუძლებელია ზუსტი კლასიფიკაციის განხორციელება და ADR-ის ყველა დებულების გამოყენება. ნარჩენები ჩვეულებრივ ინახება შეფუთვაში, რომელიც რეალიზებულია საცალო ქსელში.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-DK-2

საგანი: ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი ტარისა და დეტონატორების შემცველი ტარის საავტომობილო გადაზიდვა ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 7.5.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებები შერეული შეფუთვის შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების განხორციელებისას უნდა იქნას დაცული ADR-ის წესები.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bekendtgørelse nr. 729 of 15. august 2001 om vejtransport of farligt gods § 4, stk. 1.*

შენიშვნა: პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უნდა იქნას უზრუნველყოფილი დეტონატორებთან ერთად ფეთქებადი ნივთიერებების შეფუთვის შესაძლებლობა ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით გადასაზიდად შენახვის ადგილიდან სამუშაოების შესრულების ადგილამდე და უკან.

დანის კანონმდებლობაში სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით ცვლილებების შესვლის შემდეგ ასეთი გადაზიდვა ნებადართული იქნება დანის უფლებამოსილი ორგანოების მიერ შემდეგ პირობებზე:

1. უნდა მოხდეს არაუმეტეს 25 კგ D ჯგუფის ფეთქებადი ნივთიერების გადაზიდვა;
2. უნდა მოხდეს არაუმეტეს 200 ერთეული B ჯგუფის დეტონატორის გადაზიდვა;
3. დეტონატორების და ფეთქებადი ნივთიერებების შეფუთვა უნდა მოხდეს ცალკე ტარაში, რომელიც შეესაბამება გაეროს სასერტიფიკატო მოთხოვნებს, 2000/61/EC დირექტივით დადგენილი წესების თანახმად, რომელსაც შეაქვს შესწორებები დირექტივაში 94/55/EC.
4. მანძილი დეტონატორების შემცველ კონტეინერებსა და ფეთქებადი ნივთიერებების შემცველ კონტეინერებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 1 მ. ეს მანძილი უნდა იქნას დაცული მოულოდნელი დამუხრუჭების შემთხვევაშიც. ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი კონტეინერები და დეტონატორების შემცველი კონტეინერები უნდა იყოს

დამაგრებული ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი სწრაფად გამოტანა სატრანსპორტო საშუალებიდან.

5. უნდა იქნას დაცული სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების სხვა წესები.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

FI ფინეთი

RO-a-FI-1

საგანი: გარკვეული რაოდენობის სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ავტობუსებში და დაბალი ხარისხის რადიოაქტივობის მასალების მცირე მოცულობის გადაზიდვა ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევების მიზნებისთვის.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 4.1, 5.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებებ შეფუთვის შესახებ, დოკუმენტაცია.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: 1.1.3.6 პუნქტით შეზღუდული 200 კგ-მდე მაქსიმალური მასა ნეტოს მქონე სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ავტობუსებში ნებადართულია სატრანსპორტო დოკუმენტის და შეფუთვისთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის დაცვის გარეშე. 50 კგ-მდე წონის დაბალი ხარისხის რადიოაქტივობის მასალების გადაზიდვისას ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევების მიზნებისთვის არ მოითხოვება სატრანსპორტო საშუალების მარკირება და აღჭურვა ADR-ის შესაბამისად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Liikenne- ja viestintäministeriön asetus vaarallisten aineiden kuljetuksesta tiellä (277/2002; 313/2003; 312/2005).*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-FI-2

საგანი: ცარიელი ტარის აღნიშვნა სატრანსპორტო დოკუმენტში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.1.6.

დირექტივის დანართის შინაარსი: განსაკუთრებული დებულებები ცარიელი გაუწმინდავი ტარის, სატრანსპორტო საშუალებების, კონტეინერების, ავტოცისტერნების, ელექტრომობილებისა და მრავალელემენტური აირის კონტეინერების (მეაკ) შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტებში ცარიელ გაუწმინდავ ავტოცისტერნებზე, რომლითაც ხდებოდა გაეროს 1202, 1203 და 1223 ნომრების მქონე ორი ან მეტი ნივთიერების გადაზიდვა, აღნიშვნაში შეიძლება დამატებულ იქნას მითითება “ბოლო დატვირთვა“ და პროდუქტის დასახელება აალების ყველაზე დაბალი წერტილით: “ცარიელი ავტოცისტერნა, 3, ბოლო დატვირთვა, გაეროს №1202 საავტომობილო ბენზინი, II“.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Liikenne- ja viestintäministeriön asetus vaarallisten aineiden kuljetuksesta tiellä (277/2002; 313/2003).*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-FI-3

საგანი: ფეთქებადი ნივთიერების გადასაზიდად განკუთვნილი საშუალებების მარკირება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.2.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ზოგადი დებულებები ნარინჯისფერი ფირფიტით მარკირების შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლითაც ხდება მცირე მოცულობის (არაუმეტეს 1000 კგ ნეტო) ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა (ჩვეულებრივ, ფურგონებით) კარიერებზე ან სამუშაო მოედნებზე, შეიძლება იყოს აღნიშნული მარკირება წინა და უკანა ნაწილებზე, N 1 მოდელში მოცემული ფირფიტის გამოყენებით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Liikenne- ja viestintäministeriön asetus vaarallisten aineiden kuljetuksesta tiellä (277/2002; 313/2003).*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

FR საფრანგეთი

RO-a-FR-2

საგანი: დაინფიცირების რისკთან დაკავშირებული და გაეროს №3291 გათვალისწინებული, 15 კგ ან ნაკლები წონის, ავადმყოფის მოვლის საშუალებების ნარჩენების გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განთავისუფლება ADR-ის მოთხოვნებისგან დაინფიცირების რისკთან დაკავშირებული და გაეროს №3291 გათვალისწინებული, 15 კგ ან ნაკლები წონის, ავადმყოფის მოვლის საშუალებების ნარჩენების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 1 er juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par route — Article 12.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-FR-5

საგანი: სახიფათო ნივთიერებების გადაზიდვა საზოგადოებრივ სამგზავრო ტრანსპორტში (18).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 8.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: მგზავრებისა და სახიფათო ნივთიერებების გადაზიდვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მე-7 კლასის ნივთიერებების გარდა, სახიფათო ნივთიერებების გადაზიდვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში ნებადართულია ხელის

ბარგის სახით: გამოიყენება მხოლოდ დებულებები პაკეტების შეფუთვისა და მარკირების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია პუნქტებით 4.1, 5.2 და 3.4.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 29 mai 2009 relatif au transport des marchandises dangereuses par voies terrestres, annexe I paragraphe 3.1.*

შენიშვნა: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ხელის ბარგით ნებადართულია მხოლოდ პირადი ან საკუთარი პროფესიული სარგებლობისთვის. რესპირატორული დაავადებების მქონე პირებისთვის ნებადართულია აეროზოლის ბალონების გადაზიდვა ერთ მგზავრობაზე გათვლილი რაოდენობით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2016 წლის 29 თებერვალი

RO-a-FR-6

საგანი: მცირე მოცულობის სახიფათო მასალის დამოუკიდებლად გადაზიდვა (18).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ვალდებულება სატრანსპორტო დოკუმენტის ტარებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მცირე მოცულობის სახიფათო მასალის, რომელიც არ აღემატება 1.1.3.6 ქვეპუნქტით დადგენილ შეზღუდვებს, დამოუკიდებლად გადაზიდვა არ საჭიროებს 5.4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო დოკუმენტის ტარებას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 29 mai 2009 relatif au transport des marchandises dangereuses par voies terrestres annexe I, paragraphe 3.2. 1.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2016 წლის 29 თებერვალი.

IE ირლანდია

RO-a-IE-1

საგანი: ADR-ის 5.4.0 ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნებისგან განთავისუფლება სატრანსპორტო დოკუმენტზე ADR-ის მიხედვით მე-3 კლასის პესტიციდების, რომლებიც 2.2.3.3 ქვეპუნქტში აღინიშნება როგორც პესტიციდები FT2 (აალების წერტილი <23°C), და ADR-ის მიხედვით მე-6.1 კლასის პესტიციდების, რომლებიც 2.2.61.3 ქვეპუნქტში აღინიშნება როგორც პესტიციდები T6 (აალების წერტილი არანაკლებ 23°C), გადაზიდვასთან დაკავშირებით, თუ გადასაზიდი სახიფათო ტვირთების მოცულობა არ აღემატება ADR-ის 1.1.3.6 ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოცულობებს.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 5.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნა სატრანსპორტო დოკუმენტის მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტი არ არის საჭირო ADR-ის მიხედვით მე-3 კლასის და მე-6.1 კლასის პესტიციდების გადასაზიდად, თუ

გადასაზიდი სახიფათო ტვირთების მოცულობა არ აღემატება ADR-ის 1.1.3.6 ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოცულობებს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(9) of the ‘Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 2004’*.

შენიშვნა: ზედმეტი, დამაბრკოლებელი მოთხოვნა ადგილობრივ გადაზიდვებსა და ასეთი პესტიციდების მიწოდებასთან დაკავშირებით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-IE-2

საგანი: ADR-ის ზოგიერთი მოთხოვნისგან განთავისუფლება, ADR-ის მიხედვით პირველი კლასის კლასიფიკაციის კოდებით 1.3G, 1.4G და 1.4S მცირე მოცულობის (არაუმეტეს 1.1.3.6 ქვეპუნქტით დადგენილი შეზღუდვისა) ვადაგასული პიროტექნიკური ნაკეთობების შეფუთვისა და მარკირების მიმართ, რომლებიც შეიცავს გაეროს 0092, გაეროს 0093, გაეროს 0191, გაეროს 0195, გაეროს 0197, გაეროს 0240, გაეროს 0312, გაეროს 0403, გაეროს 0404 და გაეროს 0453 საიდენტიფიკაციო ნომრების მქონე შესაბამის ნივთიერებას, უახლოეს სამხედრო ნაწილამდე გადაზიდვისას მათი უტილიზაციის მიზნით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის 1.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 1.1.3.6, პუნქტები 4.1, 5.2 და 6.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: პიროტექნიკური ნაკეთობების უტილიზაცია, რომლებსაც გასული აქვთ მოქმედების ვადა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ADR-ის მოთხოვნები პიროტექნიკური ნაკეთობების შეფუთვისა და მარკირების მიმართ, რომლებსაც გასული აქვთ მოქმედების ვადა, შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრებით გაეროს 0092, გაეროს 0093, გაეროს 0191, გაეროს 0195, გაეროს 0197, გაეროს 0240, გაეროს 0312, გაეროს 0403, გაეროს 0404 და გაეროს 0453, უახლოეს სამხედრო ნაწილამდე გადაზიდვისას მათი უტილიზაციის მიზნით, არ გამოიყენება ADR-ის შეფუთვის მიმართ ზოგადი მოთხოვნების დაცვისა და სატრანსპორტო დოკუმენტში დამატებითი ინფორმაციის შეტანის პირობით. მოცემული დებულება გამოიყენება უმნიშვნელო მოცულობის ვადაგასული პიროტექნიკური ნაკეთობების მხოლოდ ადგილობრივი გადაზიდვების მიმართ, უახლოეს სამხედრო ნაწილამდე, მათი უსაფრთხო უტილიზაციის მიზნით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(10) of the ‘Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 2004’*.

შენიშვნა: უმნიშვნელო მოცულობის “ვადაგასული” სახომალდე სასიგნალო რაკეტების გადაზიდვა უახლოეს სამხედრო ნაწილამდე მათი უტილიზაციის მიზნით, რომლებიც ძირითადად გამოიყენება გასასეირნებელ კატერებსა და გემის გადამყვანების მიერ, დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან შეფუთვის მიმართ მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით. ნაწილობრივი გაუქმება მოქმედებს უმნიშვნელო მოცულობების

ადგილობრივი გადაზიდვების მიმართ (რომელიც არ აღემატება 1.1.3.6 ქვეპუნქტით დადგენილ რაოდენობას).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-IE-3

საგანი: განთავისუფლება 6.7 და 6.8 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისგან ცარიელი გაუწმინდავი რეზერვუარების-საცავების (სტაციონარული შენახვისთვის) საავტომობილო გადაზიდვების მიმართ გაწმენდის, რემონტის, შემოწმების ან ჯართში ჩაბარების მიზნით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 6.7 და 6.8.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები რეზერვუარის კონსტრუქციის, დამზადების, შემოწმებისა და გამოცდის მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განთავისუფლება ADR-ის 6.7 და 6.8 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისგან ცარიელი გაუწმინდავი რეზერვუარების-საცავების (სტაციონარული შენახვისთვის) საავტომობილო გადაზიდვების მიმართ გაწმენდის, რემონტის, შემოწმების ან ჯართში ჩაბარების მიზნით, იმ პირობით, რომ (ა) შესრულებულია რეზერვუართან შეერთებული მილსადენის ნაწილის დემონტაჟი, რაც დასაბუთებული და განხორციელებადია; (ბ) რეზერვუარი აღჭურვილია შესაბამისი დამცავი სარქველით, რომელიც ფუნქციონირებს გადაზიდვის პროცესში; (გ) (ბ)-ს დაცვის პირობით რეზერვუარის და მასთან შეერთებული მილსადენის ყველა ნახვრეტი შეძლებისდაგვარად ჰერმეტიზებულია სახიფათო ტვირთების გაჟონვის თავიდან ასაცილებლად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Proposed amendment to 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'*.

შენიშვნა: მოცემული რეზერვუარები გამოიყენება ნივთიერებების სტაციონარულ პირობებში შესანახად, და არა ტვირთების გადასაზიდად. გაწმენდის, რემონტისა და სხვა მიზნით სხვა ობიექტებზე გადაზიდვისას ისინი (რეზერვუარები) შეიძლება შეიცავდეს უმნიშვნელო რაოდენობის სახიფათო ტვირთს.

მანამდე მითითებული ნაწილობრივი გაუქმება 94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის შესაბამისად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-IE-4

საგანი: განთავისუფლება ADR-ის 5.3, 5.4 პუნქტებით, მე-7 მუხლით და დანართით ბ დადგენილი მოთხოვნებისგან აირის გამფრქვევი ბალონების მიმართ (სასმელებისთვის), როდესაც მათი გადაზიდვა ხდება ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე სასმელებთან ერთად (რომლებისთვისაც არის განკუთვნილი).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 5.3, 5.4, მუხლი 7 და დანართი ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო საშუალებების მარკირება, თანმხლები დოკუმენტაცია და დებულება სატრანსპორტო აღჭურვილობისა და სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განთავისუფლება ADR-ის 5.3, 5.4 პუნქტებით, მე-7 მუხლით და დანართით ბ დადგენილი მოთხოვნებისგან სასმელებისთვის განკუთვნილი აირის გამფრქვევი ბალონების მიმართ, როდესაც მათი გადაზიდვა ხდება ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე სასმელებთან ერთად (რომლებისთვისაც არის განკუთვნილი).

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Proposed amendment to 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'.*

შენიშვნა: ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასმელების ტარის რეალიზაცია, რომლებიც არ არის ADR-ით გათვალისწინებული ნივთიერება, შესაბამისი შეკუმშული აირის მცირე ზომის ბალონების უმნიშვნელო რაოდენობასთან ერთად.

მანამდე მითითებული ნაწილობრივი გაუქმება 94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის შესაბამისად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-IE-5

საგანი: განთავისუფლება, ირლანდიაში შიდა გადაზიდვების მიმართ, ბალონების დამზადებისა და გამოცდის მოთხოვნებისგან, აგრეთვე მათი გამოყენების დებულებების მოთხოვნებისგან, რომლებიც დადგენილია ADR-ის პუნქტებით 6.2 და 4.1, მე-2 კლასის შეკუმშული აირის ბალონებსა და ცილინდრულ კონტეინერებთან დაკავშირებით, რომელთა გადაზიდვაც ხორციელდება რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით, მათ შორის საზღვაო გადაზიდვით, თუ i) ამ ბალონებისა და ცილინდრების დამზადება, გამოცდა და გამოყენება შეესაბამება IMDG-ს; ii) ამ ბალონებისა და ცილინდრების ხელახალი დატენვა არ ხდება ირლანდიაში, არამედ ცარიელი იგზავნება იმ ქვეყანაში, საიდანაც წარმოებს გადაზიდვა რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით; და iii) ეს ბალონები და ცილინდრები გავრცელებულია ადგილობრივ ბაზარზე მცირე რაოდენობით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 1.1.4.2, პუნქტები 4.1 და 6.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულება რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით, მათ შორის საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის შესახებ, ბალონებისა და ცილინდრების გამოყენება ADR-ის შესაბამისად მე-2 კლასის შეკუმშული აირებისთვის, ასეთი ბალონებისა და ცილინდრების დამზადება და გამოცდა ADR-ის შესაბამისად მე-2 კლასის შეკუმშული აირებისთვის.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: 4.1 და 6.2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება მე-2 კლასის ბალონებისა და ცილინდრების მიმართ, თუ (i) ეს ბალონები და ცილინდრები დამზადებულია და გამოცდილია IMDG-ს შესაბამისად; (ii) ეს ბალონები და ცილინდრები

გამოყენება IMDG-ს შესაბამისად; (iii) ეს ბალონები და ცილინდრები მიეწოდა ტვირთის მიმღებს რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით, მათ შორის საზღვაო გადაზიდვით; (iv) საბოლოო მომხმარებლისთვის ამ ბალონებისა და ცილინდრების გადაზიდვა მიმდინარეობს მხოლოდ ერთი ტიპის ტრანსპორტით ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით ჩატარებული სატრანსპორტო ოპერაციის ტვირთის მიმღების მიერ (მითითებულია ქვეპუნქტში (iii)); (v) ამ ბალონებისა და ცილინდრების ხელახლა დატენვა არ ხდება სახელმწიფოში და ცარიელი იგზავნება იმ ქვეყანაში, საიდანაც წარმოებს გადაზიდვა რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით (მითითებულია ქვეპუნქტში (iii)); (vi) ეს ბალონები და ცილინდრები გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცირე რაოდენობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Proposed amendments to 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 2004'.*

შენიშვნა: ამ ბალონებსა და ცილინდრებში არსებული აირები უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნებს, რის შედეგადაც ისინი უნდა იქნას შემოტანილი ქვეყნებიდან, რომლებშიც არ მოქმედებს ADR. გამოყენების შემდეგ ეს ცარიელი ბალონები და ცილინდრები უნდა იქნას დაბრუნებული წარმოშობის ქვეყანაში ხელახლა დატენვის მიზნით ცალკე აღნიშნული აირებით - მათი ხელახალი დატენვა არ ხდება ირლანდიაში ან ADR-ის მოქმედების რომელიმე ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ შეესაბამებიან ADR-ს, ისინი შეესაბამებიან IMDG-ს მოთხოვნებს და მიიღებიან მისი მიზნებისთვის. რამდენიმე ტიპის ტრანსპორტით გადაზიდვა, რომელიც იწყება ADR-ის მოქმედების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მთავრდება იმპორტიორის შენობებით, საიდანაც შესაძლოა ამ ბალონებისა და ცილინდრების გადაცემა მცირე რაოდენობით საბოლოო მომხმარებლისთვის ირლანდიის შიდა ბაზარზე. ასეთი გადაზიდვა ირლანდიის ტერიტორიაზე ხდება 94/55/EC დირექტივის შეცვლილი მე-6(9) მუხლის მოქმედების ქვეშ.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

LT ლიტვა

RO-a-LT-1

საგანი: RO-a-UK-6-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Lietuvos Respublikos Vyriausybės 2000 m. kovo 23 d. nutarimas Nr. 337 'Dėl pavojingų krovinių vežimo kelių transportu Lietuvos Respublikoje'* (ხელისუფლების გადაწყვეტილება N337 სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც მიღებულია 2000 წლის 23 მარტს).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

UK გაერთიანებული სამეფო

RO-a-UK-1

საგანი: გარკვეული ნაკეთობების გადაზიდვა, რომლებიც შეიცავს დაბალი ხარისხის რადიოაქტიურ ნივთიერებებს, როგორცაა კედლის, მაგიდის ან მაჯის საათები, კვამლის დეტექტორები, კომპასის ციფერბლატები (E1).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ADR-ის მოთხოვნათა უმრავლესობა.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები მე-7 კლასის მასალების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სრულად განთავისუფლება ეროვნული რეგლამენტის მოთხოვნებისგან განსაზღვრული კომერციული ნაკეთობების მიმართ, რომლებიც შეიცავს შეზღუდული რაოდენობის რადიოაქტიურ მასალას. (მნათი ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია სატარებლად ადამიანის მიერ; ერთ საავტომობილო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე არაუმეტეს 500 საყოფაცხოვრებო დანიშნულების კვამლის დეტექტორი, თითოეული მათგანი არაუმეტეს 40 kBq; ან ერთ საავტომობილო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე არაუმეტეს ხუთი ტრიტიუმის მნათი ხელსაწყო, თითოეული მათგანი არაუმეტეს 10 GBq).

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Radioactive Material (Road Transport) Regulations 2002: Regulation 5(4)(d). The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 3(10).*

შენიშვნა: მოცემული ნაწილობრივი გაუქმება წარმოადგენს ხანმოკლე ზომას, რომელიც აღარ იქნება საჭირო ADR-ში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რეგლამენტის ცვლილებების შესაბამისად შესწორებების შეტანის შემდეგ.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-2

საგანი: განთავისუფლება გარკვეული მოცულობის სახიფათო ტვირთებზე სატრანსპორტო დოკუმენტის ტარების მოთხოვნისგან (გარდა მე-7 კლასის), რომლებიც დადგენილია ქვეპუნქტით 1.1.3.6 (E2).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 1.1.3.6.2 და 1.1.3.6.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: ტრანსპორტის ერთეულზე განსაზღვრული მოცულობების მიმართ გარკვეული მოთხოვნებისგან განთავისუფლება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტი არ არის საჭირო შეზღუდული მოცულობებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის შეადგებს დიდი მოცულობის ტვირთის ნაწილს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 3(7)(a).*

შენიშვნა: მოცემული ნაწილობრივი გაუქმება ვრცელდება შიდასახელმწიფოებრივ გადაზიდვებზე, როდესაც სატრანსპორტო დოკუმენტი ყოველთვის არ შესაბამება შიდა ბაზრის მოთხოვნებს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-3

საგანი: განთავისუფლება მოთხოვნისგან სატრანსპორტო საშუალებებზე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის არსებობის შესახებ დაბალი ხარისხის რადიოაქტივობის მქონე მასალების გადაზიდვისას (E4).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 8.1.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალებებზე ცეცხლსაქრობი საშუალებების ტარებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განთავისუფლება მოთხოვნისგან ცეცხლსაქრობი საშუალებების ტარებასთან დაკავშირებით მხოლოდ გამონაკლისების ჯგუფის ტვირთების გადაზიდვისას (გაეროს №2908, 2909, 2910 და 2911).

ზღუდავს მოთხოვნას მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის ტვირთის გადაზიდვისას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Radioactive Material (Road Transport) Regulations 2002: Regulation 5(4)(d)*.

შენიშვნა: ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა პრაქტიკაზე არ გამოიყენება გაეროს №2908, 2909, 2910 და 2911 ტიპის გადაზიდვების მიმართ, რომლებიც ხშირად შეიძლება განხორციელდეს მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალებებით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-4

საგანი: პირველად შეფუთვაში არსებული ტვირთების რეალიზაცია საცალო ვაჭრებსა თუ მომხმარებლებთან (1, 4.2, 6.2 და 7 კლასების გარდა) ადგილობრივი საწყობებიდან საცალო ვაჭრობის პუნქტამდე ან მომხმარებლებამდე და საცალო ვაჭრობის პუნქტიდან საბოლოო მომხმარებლებამდე (N 1).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 6.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები შეფუთვის დამზადებასა და კონტროლთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: შეფუთვა არ საჭიროებს ნიშნის RID/ADR, UN ან სხვა აღმნიშვნელის მითითებას, თუ ის შეიცავს მე-3 ცხრილში მითითებულ ტვირთებს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 7(4) and Regulation 36 Authorisation Number 13*.

შენიშვნა: ADR-ის მოთხოვნები არ გამოიყენება გადაზიდვის საბოლოო ეტაპის მიმართ საწყობიდან საცალო ვაჭრობის პუნქტამდე ან მომხმარებლამდე ან საცალო ვაჭრობის პუნქტიდან საბოლოო მომხმარებლამდე. მოცემული ნაწილობრივი გაუქმება იძლევა პირველად შეფუთვაში არსებული ტვირთების ადგილობრივი გადაზიდვის განხორციელების შესაძლებლობას რეალიზაციის საბოლოო ეტაპზე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-5

საგანი: “ტრანსპორტის ერთეულზე მაქსიმალური საერთო რაოდენობის“ დაშვების ნებართვა პირველი კლასის სხვადასხვა ტვირთებზე, ქვეპუნქტში 1.1.3.6.3 მითითებული პირველი და მე-2 კატეგორიებიდან (N 10).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 1.1.3.6.3 და 1.1.3.6.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: განთავისუფლება მოთხოვნისგან ერთი სატრანსპორტო საშუალებით გადასაზიდი ტვირთის რაოდენობასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ადგენს წესებს ფეთქებადი ნივთიერებების რაოდენობის შეზღუდვებთან და შერეულ დატვირთვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან განთავისუფლების შესახებ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Explosives by Road Regulations 1996, Regulation 13 and Schedule 5; Regulation 14 and Schedule 4.*

შენიშვნა: პირველი კლასის ტვირთების რაოდენობის მიმართ სხვადასხვა შეზღუდვების დაშვების ნებართვა, კერძოდ კი, “50“ პირველი კატეგორიისთვის და “100“ მე-2 კატეგორიისთვის. შერეული ტიპის ტვირთების დატვირთვის შემთხვევაში გამოიყენება გამრავლების კოეფიციენტი “20“ პირველი კატეგორიისთვის და კოეფიციენტი “2“ მე-2 კატეგორიისთვის.

მანამდე მითითებული ნაწილობრივი გაუქმება 94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის შესაბამისად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-6

საგანი: EX/II ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით გადასაზიდად ნებადართული ფეთქებადი ნივთიერებების მაქსიმალური მასა ნეტოს გაზრდა (N 13).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 7.5.5.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: გადასაზიდი ფეთქებადი ნივთიერებებისა და ნაკეთობების რაოდენობის შეზღუდვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გადასაზიდი ფეთქებადი ნივთიერებებისა და ნაკეთობების რაოდენობის შეზღუდვა.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Explosives by Road Regulations 1996, Regulation 13, Schedule 3.*

შენიშვნა: გაერთიანებული სამეფოს რეგლამენტებით ნებადართულია მაქსიმალური მასა ნეტო 5000 კგ 1.1C, 1.1D, 1.1E და 1.1J შეთავსებადობის ჯგუფების II ტიპის სატრანსპორტო საშალებებისთვის.

1.1C, 1.1D, 1.1E და 1.1J კლასის მრავალრიცხოვანი ნაკეთობები, რომლებიც გადააქვთ ევროპის ტერიტორიაზე, არის მსხვილგაბარიტიანი და სიგრძეში აღემატები 2,5 მ-ს. ძირითადად, ეს არის სამხედრო მიზნებში გამოსაყენებელი ფეთქებადი ნაკეთობები. EX/III ტიპის სატრანსპორტო საშალებების კონსტრუქციასთან დაკავშირებული შეზღუდვები (რომლებიც უნდა იყოს დახურული) ამნელებს ასეთი ნაკეთობების დატვირთვას და გადმოტვირთვას. ზოგიერთი ნაკეთობა საჭიროებს სპეციალურ სატვირთავ-გასატვირთ ადჭურვილობას, როგორც დატვირთვის პუნქტში, ასევე გადაზიდვის დანიშნულების პუნქტში. პრაქტიკულად, ასეთი ადჭურვილობა ძალიან იშვიათად გამოიყენება. გაერთიანებულ სამეფოში გამოიყენება EX/III ტიპის სატრანსპორტო საშალებების მხოლოდ მცირე რაოდენობა, აღნიშნულთან დაკავშირებით რთული იქნებოდა EX/III ტიპის სატრანსპორტო საშალებების მიმართ გარკვეული კონსტრუქციული მოთხოვნების შესრულება ასეთი სახის ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვების განხორციელებისას.

გაერთიანებულ სამეფოში სამხედრო მიზნებში გამოსაყენებელი ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა ძირითადად ხდება კომერციული გადამზიდავების მიერ და, ამრიგად, არ ექვემდებარება სამხედრო სატრანსპორტო საშალებების მიმართ გამოყენებული მოთხოვნებისგან განთავისუფლებას ჩარჩო დირექტივის შესაბამისად. ამ პრობლემის გადასაჭრელად გაერთიანებული სამეფოს მიერ ყოველთვის იყო ნებადართული 5000 კგ-მდე ასეთი ნაკეთობის გადაზიდვა EX/II ტიპის სატრანსპორტო საშალებებით. ეს შეზღუდვა ყოველთვის საკმარისი არ არის, რადგან ცალკეული ნაკეთობა შეიძლება შეიცავდეს 1000 კგ-ზე მეტ ფეთქებად ნივთიერებას.

1950 წლიდან სულ ორ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი (ორივე შემთხვევა 1950-იან წლებში) 5000 კგ-ზე მეტი ფეთქებადი ნივთიერების მონაწილეობით. უბედური შემთხვევების მიზეზი იყო სალტეს აალება და ნამუშევარი აირის გამოშვების სისტემის გადახურება, რომელმაც გამოიწვია შემონაკერის აალება. აალება შეიძლება მომხდარიყო ტვირთის უფრო ნაკლები მოცულობის შემთხვევაშიც. დაღუპულები ან დაზარალებულები არ იყო.

ფაქტიური მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, მაგალითად, სატრანსპორტო საშალებების შეტაკების მიზეზით, არსებობს ფეთქებადი ნივთიერებების აალების ძალიან დაბალი ალბათობა შეფუთვის ნორმების დაცვის შემთხვევაში. ყუმბარების დარტყმით გამოცდის შესახებ სამხედრო მოხსენებებსა და მასალებში მოყვანილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ვაზნების აალება შესაძლებელია მხოლოდ შეჯახების სიჩქარისას, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე 12 მეტრიდან სატესტო დარტყმის შემთხვევაში.

უსაფრთხოების ტექნიკის მოქმედი წესები არ ექვემდებარება შეცვლას.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-7

საგანი: განთავისუფლება პირველი კლასის უმნიშვნელო მოცულობის გარკვეული ტვირთების კონტროლის მოთხოვნებისგან (N 12).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 8.4 და 8.5 S1(6).

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის მოთხოვნა გარკვეული რაოდენობის სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გათვალისწინებულია უსაფრთო პარკირებისა და საკონტროლო პუნქტების მიმართ, მაგრამ არ საჭიროებს პირველი კლასის განსაზღვრული ტვირთების კონტროლს ADR-ის მე-8.5 S1(6) პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 1996, Regulation 24.*

შენიშვნა: ADR-ის თანახმად კონტროლის მოთხოვნა ყოველთვის განხორციელებადი არ არის ეროვნულ პირობებში.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-8

საგანი: შეზღუდვების შემსუბუქება სატვირთო ვაგონებში არაერთგვარი ფეთქებადი ნივთიერებების, აგრეთვე სხვა სახიფათო ტვირთებთან ერთად ფეთქებადი ნივთიერებების საავტომობილო ტრანსპორტით და კონტეინერებით გადაზიდვასთან დაკავშირებით (N 4/5/6).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 7.5.2.1 და 7.5.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: გარკვეული ტიპების შერეული დატვირთვის შეზღუდვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს უფრო ნაკლებ შეზღუდვებს ფეთქებადი ნივთიერებების შერეული დატვირთვის მიმართ, ასეთი გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 1996, Regulation 18.*

შენიშვნა: გაერთიანებული სამეფო გამოხატავს სურვილს დაუშვას არაერთგვარი ფეთქებადი ნივთიერებების, აგრეთვე სხვა სახიფათო ტვირთებთან ერთად ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვის წესებისგან გადახვევა. ნებისმიერ გადახვევას ექნება რაოდენობრივი შეზღუდვა დატვირთვის ერთი ან მეტი შემადგენელი ნაწილის მიმართ და იქნება ნებადართული მხოლოდ იმ პირობით, რომ “მიღებულია ყველა გონივრული ზომა ფეთქებად ნივთიერებებთან შეხების ან ასეთი ტვირთისთვის ან ასეთი ტვირთებისთვის სხვაგვარად საშიშროების შექმნის თავიდან ასაცილებლად“.

გადახვევების მაგალითები, რომლებიც შეიძლება იყოს ნებადართული გაერთიანებული სამეფოს მიერ:

1. გაეროს ნომრებით 0029, 0030, 0042, 0065, 0081, 0082, 0104, 0241, 0255, 0267, 0283, 0289, 0290, 0331, 0332, 0360 ან 0361 ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით გაეროს ნომრით 1942 სახიფათო ტვირთებთან ერთად. გადასაზიდად ნებადართულია გაეროს ნომრით 1942 მცირე რაოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ ის მიეკუთვნება 1.1D ფეთქებად ნივთიერებებს.
2. გაეროს ნომრებით 0191, 0197, 0312, 0336, 0403 ან 0453 ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვის მე-2 კატეგორიის სახიფათო ტვირთებთან (გარდა საწვავი აირისა, ინფექციური და ტოქსიკური ნივთიერებებისა) ან გადაზიდვის მე-3 კატეგორიის სახიფათო ტვირთებთან ერთად, აგრეთვე მათი ნებისმიერი კომბინაციით, თუ გადაზიდვის მე-2 კატეგორიის სახიფათო ტვირთების საერთო მასა ან მოცულობა არ აღემატება 500 კგ ან ლიტრს, ხოლო ასეთი ფეთქებადი ნივთიერებების საერთო მასა ნეტო არ აღემატება 500 კგ-ს.
3. 11.4G კატეგორიის ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ცეცხლსაშიშ სითხეებთან და საწვავ აირებთან ერთად მე-2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით ან არაალებად არატოქსიკურ აირებთან ერთად მე-3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით, აგრეთვე მათი ნებისმიერი კომბინაციით ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით, თუ სახიფათო ტვირთების საერთო მასა ან მოცულობა ერთად არ აღემატება 200 კგ ან ლიტრს, ხოლო ფეთქებადი ნივთიერებების საერთო მასა ნეტო არ აღემატება 20 კგ-ს.
4. გაეროს ნომრებით 0106, 0107 ან 0257 ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს D, E და F შეთავსებადობის ჯგუფების ფეთქებად ნივთიერებებთან ერთად, რომელთა კომპონენტებსაც წარმოადგენენ. გაეროს ნომრებით 0106, 0107 ან 0257 ფეთქებადი ნივთიერებების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-9

საგანი: ნარინჯისფერი ფირფიტის შერჩევითი განთავსება მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალებებზე მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალებებით რადიოაქტიური ნივთიერებების გადაზიდვისას.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალებებზე ნარინჯისფერი ფირფიტის განთავსების მოთხოვნა მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალებებით რადიოაქტიური ნივთიერებების გადაზიდვისას.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ითვალისწინებს ნებისმიერ ნაწილობრივ გაუქმებას, რომელიც მიღებულია მოცემული პროცედურის ფარგლებში. მოთხოვნილი ნაწილობრივი გაუქმება:

სატრანსპორტო საშუალებებზე:

(ა) უნდა იყოს ფირფიტა ADR-ის 5.3.2 ქვეპუნქტის მოქმედი დებულებების შესაბამისად; ან
(ბ) არადაშლადი და დაშლის გამომრიცხავი რადიოაქტიური მასალების შემცველი არაუმეტეს ათი ერთეული ტარის გადაზიდვის შემთხვევაში, თუ ამ კონტეინერების გადაზიდვის ინდექსების ჯამი არ აღემატება 3, შეიძლება, შერჩევით, იყოს წარმოდგენილი აღნიშვნა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Radioactive Material (Road Transport) Regulations 2002, Regulation 5(4)(d).*

შენიშვნა: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-a-UK-10

საგანი: დაინფიცირების რისკთან დაკავშირებული და გაეროს №3291 გათვალისწინებული, 15 კგ ან ნაკლები წონის, ავადმყოფის მოვლის საშუალებების ნარჩენების გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ყველა დებულება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განთავისუფლება I.1 კარის I დანართის მოთხოვნებისგან დაინფიცირების რისკთან დაკავშირებული და გაეროს №3291 გათვალისწინებული, 15 კგ ან ნაკლები წონის, ავადმყოფის მოვლის საშუალებების ნარჩენების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: მოცემული ნაწილობრივი გაუქმება გამოცემულია *“The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2011”-ის შესაბამისად.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2017 წლის 1 იანვარი.

2008/68/EC დირექტივის მუხლის 6(2)(b)(i) საფუძველზე

BE ბელგია

RO-bi-BE-3

საგანი: მძღოლების მომზადება.

გაეროს № 1202, 1203 და 1223 ნივთიერებების ადგილობრივი მნიშვნელობის გადაზიდვები ტარასა და ცისტერნებში (ბელგიაში, რეგისტრირებული ოფისიდან 75 კმ-ის რადიუსში)

მითითება დირექტივის 2008/68/EC I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 8.2.

დირექტივის დანართის შინაარსი:

მომზადების სტრუქტურა:

1. სასწავლო ტარა;
2. სასწავლო ცისტერნა;
3. სპეციალური მომზადება CI 1;
4. სპეციალური მომზადება CI 7.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: განმარტებები - მოწმობა - გაცემა - დუბლიკატები - მოქმედების ვადა და ვადის გაგრძელება - კურსებისა და გამოცდების ირგანიზება - მოთხოვნათა ნაწილობრივი გაუქმება - ჯარიმები - დასკვნითი დებულებები.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: მითითებული იქნება შემდეგ რეგლამენტში.

შენიშვნა: შეთავაზებულ იქნა შეიზღუდოს საწყისი კურსი შემდგომი გამოცდით გაეროს № 1202, 1203 და 1223 ნივთიერებების გადაზიდვებით ტარასა და ცისტერნებში რეგისტრირებული ოფისიდან 75 კმ-ის რადიუსში - სწავლების ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს ADR-ის მოთხოვნებს - ხუთი წლის შემდეგ მძღოლმა უნდა გაიაროს გადამზადების კურსი და ჩააბაროს გამოცდა - მოწმობაში უნდა იყოს მითითებული “გაეროს №1202, 1203 და 1223 ნივთიერებების შიდა გადაზიდვები დირექტივის 2008/68/EC მე-6(2) მუხლის თანახმად”.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-4

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ცისტერნებში დაწვის გზით განადგურების მიზნით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 3.2.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ცხრილში 3.2 გათვალისწინებული ნაწილობრივი გაუქმება გვადლევს ცისტერნის კოდით L4BH კონტეინერი-ცისტერნების გამოყენების შესაძლებლობას, ნაცვლად ცისტერნის კოდისა L4DH, III კლასის ტოქსიკური სითხეების გადასაზიდვად, რომლებიც რეაქციაში შედის წყალთან, ზუსტად მითითებული არ არის განსაზღვრული პირობების შემთხვევაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Dérogation 01-2002*.

შენიშვნა: მოცემული რეგლამენტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სახიფათო ნარჩენების გადაზიდვისას მოკლე მანძილზე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-5

საგანი: ნარჩენების გადაზიდვა ნარჩენების გადასამუშავებელ ქარხნამდე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 5.2, 5.4, 6.1 (აღრე მოქმედი რეგლამენტი: A5, 2X14, 2X12).

დირექტივის დანართის შინაარსი: კლასიფიკაცია, მარკირება და მოთხოვნები შეფუთვისთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ADR-ის შესაბამისად ნარჩენების კლასიფიკაციის ნაცვლად, ნარჩენებს ახარისხებენ სხვადასხვა ჯგუფებად (ცეცხლსაშიში გამხსნელები, საღებავები, მჟავა, გალვანური ელემენტები და ა.შ.) ერთი ჯგუფის ნივთიერებებს შორის საშიში ურთიერთქმედების თავიდან ასაცილებლად. მოთხოვნები ტარის დამზადების მიმართ ნაკლებად შემზღვევლია.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté royal relatif au transport des marchandises dangereuses par route.*

შენიშვნა: მოცემული რეგლამენტი გამოიყენება გადასამუშავებელ ქარხნებში მხოლოდ მცირე რაოდენობის ნარჩენების გადაზიდვებთან დაკავშირებით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-6

საგანი: RO-bi-SE-5-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-7

საგანი: RO-bi-SE-6-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-8

საგანი: RO-bi-UK-2-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-BE-9

საგანი: RO-bi-SE-3-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2018 წლის 15 იანვარი.

RO-bi-BE-10

საგანი: გადაზიდვა სამრეწველო ადგილების სიახლოვეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაზიდვის ჩათვლით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: დანართები ა და ბ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ნაწილობრივი გაუქმება ეხება შეფუთვების დოკუმენტაციას, ეტიკეტს და მარკირებას და მართვის მოწმობას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté royal relative au transport des marchandises dangereuses par route.*

შენიშვნა: ქვემოთმოყვანილ სიაში მოცემულია ნაწილობრივი გაუქმების ნომერი ეროვნულ კანონმდებლობაში, ნებადართული მანძილი და ჩართული სახიფათო ტვირთი.

1. ნაწილობრივი გაუქმება 2-89: საზოგადოებრივი გზის გადაკვეთა (ქიმიკატები შეფუთვაში)
2. ნაწილობრივი გაუქმება 4-97: 2 კმ (თუჯის ზოდები მომატებულ ტემპერატურაზე)
3. ნაწილობრივი გაუქმება 2-2001: 300 მ (კლასები 3, 6.1 და 8)
4. ნაწილობრივი გაუქმება 6-2004: მაქსიმუმ 5 კმ (ქიმიკატები შეფუთვაში)
5. ნაწილობრივი გაუქმება 12-2004: 800 მ (გაეროს №3082)
6. ნაწილობრივი გაუქმება 16-2004: მაქსიმუმ 55 კმ (შეზღუდული რაოდენობა)
7. ნაწილობრივი გაუქმება 7-2005: საზოგადოებრივი გზის გადაკვეთა (გაეროს №1202)
8. ნაწილობრივი გაუქმება 9-2005: 1 200 მ (გაეროს №3077)
9. ნაწილობრივი გაუქმება 1-2006: 600 მ (ქიმიკატები შეფუთვაში)
10. ნაწილობრივი გაუქმება 13-2007: 8 კმ (ქიმიკატები შეფუთვაში)
11. ნაწილობრივი გაუქმება 7-2008: მაქსიმუმ 1,5 კმ (ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნები და რეზერვუარები მე-9 კლასისთვის)
12. ნაწილობრივი გაუქმება 8-2008: 800 მ (გაეროს №2735 და გაეროს №3082)
13. ნაწილობრივი გაუქმება 2-2009: 350 მ (ქიმიკატები შეფუთვაში)
14. ნაწილობრივი გაუქმება 3-2009: მაქსიმუმ 4,5 კმ (ქიმიკატები შეფუთვაში)
15. ნაწილობრივი გაუქმება 5-2009: მაქსიმუმ 4,5 კმ (ქიმიკატები შეფუთვაში)
16. ნაწილობრივი გაუქმება 9-2009: მაქსიმუმ 20 კმ (კლასი 2 შეფუთვაში)
17. ნაწილობრივი გაუქმება 16-2009: 200 მ (საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერებში)

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2018 წლის 15 იანვარი.

DE გერმანია

RO-bi-DE-1

საგანი: უარი სატრანსპორტო დოკუმენტში ზოგიერთ განსაზღვრულ აღნიშვნაზე (n2)

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტის შინაარსი.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ყველა კლასი, გარდა პირველი (1.4S-ის გარდა), 5.2 და 7 კლასებისა.

სატრანსპორტო დოკუმენტში არ მოითხოვება შემდეგი ინფორმაციის მითითება:

- (ა) ტვირთის მიმწოდებლის დასახელება ადგილობრივი რეალიზაციის შემთხვევაში (გარდა სრული დატვირთვისა და განსაზღვრული მარშრუტით გადაზიდვებისა);
- (ბ) ტარის რაოდენობა და ტიპი, თუ არ გამოიყენება ქვეპუნქტი 1.1.3.6 და თუ სატრანსპორტო საშუალება შეესაბამება ა და ბ დანართების ყველა დებულებას;
- (გ) ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნებისთვის საკმარისია ბოლო დატვირთვის სატრანსპორტო დოკუმენტი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 18.*

შენიშვნა: ყველა დებულების გამოყენება შეიძლება იყოს არამიზანშეწონილი მოცემული ტიპის სატრანსპორტო საშუალების მიმართ.

ნაწილობრივი გაუქმება რეგისტრირებულია ევროპული კომისიის მიერ N22 (94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლით).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-DE-2

საგანი: მე-9 კლასის პკბ დაბინძურებული დაუფასოებელი მასალის გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 7.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: დაუფასოებელი მასალის გადაზიდვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ნებართვა დაუფასოებელი მასალის გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებებში მოსახსნელი ძარით ან კონტეინერით, რომელიც ჰერმეტიკულად დაცულია სითხის ან მტვრის მოხვედრისგან.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 11.*

შენიშვნა: ნაწილობრივი გაუქმების მოქმედების ვადის ამოწურვა 2004 წლის 11-31 დეკემბერი; 2005 წლიდან იგივე დებულებები ADR-სა და RID-ში.

იხ. ასევე მრავალმხრივი შეთანხმება M137.

სია N4*.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-DE-3

საგანი: ტარაში მოთავსებული სახიფათო ნარჩენების გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: 1-5.

დირექტივის დანართის შინაარსი: კლასიფიკაცია, შეფუთვა და მარკირება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კლასები 2-დან 6.1-მდე, 8 და 9: ტარასა და საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების შერეული შეფუთვა და გადაზიდვა; ნარჩენები უნდა იყოს პირველად შეფუთვაში (შეგროვებისას) და დახარისხებული ნარჩენების გარკვეულ ჯგუფში (ერთი ჯგუფის ნარჩენების ნივთიერებებს შორის საშიში რეაქციის თავიდან ასაცილებლად); სპეციალური წერილობითი ინსტრუქციების გამოყენება ნარჩენების ჯგუფებთან დაკავშირებით, სატრანსპორტო ზედნადების სახით; საყოფაცხოვრებო და ლაბორატორიული ნარჩენების შეგროვება და ა.შ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 20.*

შენიშვნა: სია N6*.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-DE-4

საგანი: RO-bi-BE-1-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2017 წლის 1 იანვარი.

RO-bi-DE-5

საგანი: გაეროს №3343 ნივთიერებების ადგილობრივი გადაზიდვა (ნიტროგლიცერინის ნარევი, დესენსიბილიზირებული, თხევადი, სხვა სპეციფიკაციის გარეშე, არაუმეტეს 30% ნიტროგლიცერინით) კონტეინერი-ცისტერნებით, ნაწილობრივ გაუქმებული 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართის ქვეპუნქტიდან 4.3.2.1.1.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე I: პუნქტი 3.2, ქვეპუნქტი 4.3.2.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებები კონტეინერი-ცისტერნების გამოყენების შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შინაარსი: ნიტროგლიცერინის (გაეროს №3343) ადგილობრივი გადაზიდვა კონტეინერი-ცისტერნებით, მოკლე მანძილზე, შემდეგ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში:

1. მოთხოვნები კონტეინერი-ცისტერნების მიმართ:

1.1 შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ის კონტეინერი-ცისტერნები, რომლებიც სპეციალურად დაშვებულია ამ მიზნებისთვის და სხვა მხრივ შეესაბამება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართის მე-6.8 პუნქტს დამზადების, აღჭურვილობის, დამზადების მოდელის ნებართვის, გამოცდების, მარკირებისა და ექსპლუატაციის მხრივ.

1.2 კონტეინერი-ცისტერნის დახურვის მექანიზმი უნდა იყოს აღჭურვილი წნევის დაგდების სისტემით, რომელიც იწვევს ნორმალურ წნევასთან შედარებით უფრო მაღალ შიდა წნევას 300 კპა (3 ბარი), და შედეგად ათავისუფლებს ზემოთ მიმართულ ნახვრეტს წნევის დაგდების ფართობით სულ მცირე 135 სმ² (დიამეტრი 132 მმ). ნახვრეტი არ უნდა დაიხუროს აქტივაციის შემდეგ. უსაფრთხოების დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას უსაფრთხოების ერთი ან რამდენიმე ელემენტი აქტივაციის იგივე სისტემის და წნევის დაგდების შესაბამისი მონაკვეთით. უსაფრთხოების დანადგარის დამზადების ტიპის ტესტირება უნდა დასრულდეს წარმატებით და დამტკიცებულ იქნას შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.

2. მარკირება

ყოველი კონტეინერი-ცისტერნის მარკირება ხდება ორივე მხრიდან საშიშროების ნიშნის მითითებით 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართის 5.2.2.2.2 პუნქტში მითითებული მე-3 მოდელის შესაბამისად.

3. ოპერაციებთან დაკავშირებული დებულებები

3.1 საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას, რომ გადაზიდვის დროს ნიტროგლიცერინი განაწილდეს თანაბარად ფლეგმატურ გარემოში და არ მოხდეს მისი შერევა.

3.2 დატვირთვისა და გადმოტვირთვის პროცესში დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებაში ან მასზე ყოფნა, გარდა სატვირთავ-გასატვირთავი მოწყობილობების მართვის მიზნით.

3.3 გადმოტვირთვის პუნქტში კონტეინერი-ცისტერნა უნდა დაიცალოს სრულად. ამ ოპერაციის სრულად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აუცილებელია მათი ჰერმეტიკულად დახურვა გადმოტვირთვის შემდეგ ხელახლა შევსებამდე.

საწყისი მითითება ეროვნული კანონმდებლობის დებულებებზე: ჩრდილოეთ რაინის-ვესტფალიის რეგიონში მოქმედი ნაწილობრივი გაუქმება.

შენიშვნა: აღნიშნული ითვალისწინებს ადგილობრივ მოკლე მანძილზე ტრანსპორტირებას კონტეინერ-ცისტერნებში ორ ფიქსირებულ სამრეწველო ობიექტს შორის ინდუსტრიული პროცესის ნაწილის სახით. ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების მიზნით, საწარმოო ობიექტი ა უგზავნის იმ წესის თანახმად - რაც შეესაბამება 600 l კონტეინერ ცისტერნების ტრანსპორტირებას, რეზინის ხსნარს, აალებად (UN 1866), II შეფუთვის ჯგუფს, წარმოების მიზნით ბ ობიექტს. აქ ხდება ნიტროგლიცერინის ჯგუფის დამატება და შერევა, რაც წარმოშობს ნიტროგლიცერონის წებოვან ნარევს, დესენსიტიზებულ, თხევად, ადვილად აალებად ნივთიერებას, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული, არაუმეტეს 30% ნიტროგლიცერინის მასის მიხედვით (UN 3343) შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნული ნივთიერების უკან დაბრუნება ა საწარმოო ობიექტზე აგრეთვე ხდება ზემოაღნიშნულ კონტეინერ-ცისტერნებში, რომლებიც საგანგებოდ შემოწმდა და დამტკიცდა შესაბამისი ორგანოს მიერ აღნიშნული საგანგებო სატრანსპორტო ოპერაციების

განხორციელებასთან დაკავშირებით და მათე მითითებული იქნება ცისტერნის კოდი L10DN.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2017 წლის 1 იანვარი.

RO-bi-DE-6

საგანი: RO-bi-SE-6-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: § 1 Absatz 3 Nummer 1 der *Gefahrgutverordnung Straße, Eisenbahn und Binnenschifffahrt (GGVSEB)*.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

DK დანია

RO-bi-DK-1

საგანი: გაეროს №1202, 1203, 1223 და კლასი 2 - სატრანსპორტო დოკუმენტის გარეშე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტის აუცილებლობა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: რეალიზაციის მიზნით მე-3 კლასის, გაეროს №1202, 1203 და 1223 ნავთობპროდუქტებისა და მე-2 კლასის აირების გადაზიდვისას (ტვირთის მიწოდება ხდება ორი ან მეტი მიმღებისთვის, ასევე ხდება დაბრუნებული ტვირთების შეგროვება მსგავს ვითარებებში) სატრანსპორტო დოკუმენტი არ არის საჭირო, თუ მოცემულის გარდა, ADR-ით გათვალისწინებული წერილობით ინსტრუქციაში მითითებულია ინფორმაცია გაეროს ნომრის, დასახელებისა და კლასის შესახებ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bekendtgørelse nr. 729 af 15/08/2001 om vejtransport af farligt gods*.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული ეროვნული ნაწილობრივი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ეროვნული აღჭურვილობის თანამედროვე დონე შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად ნავთობკომპანიებს, გამოიყენონ ასეთი აღჭურვილობა სატრანსპორტო საშუალებებისთვის მყიდველების შესახებ ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მისაწოდებლად. ვინაიდან სატრანსპორტო ოპერაციის დაწყებისას ეს ინფორმაცია არ იყო მითითებული, და გადაეცემა სატრანსპორტო საშუალებას გზაში, გადაზიდვის დაწყებამდე შეუძლებელია სატრანსპორტო დოკუმენტის მომზადება. ასეთი ტიპის გადაზიდვები შემოიფარგლება ცალკეული ტერიტორიებით.

ნაწილობრივი გაუქმება დანიისთვის გათვალისწინებულია 94/55/EC დირექტივის მე-6(10) მუხლის შესაბამის დებულებებში.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-DK-2

საგანი: RO-bi-SE-6-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bekendtgørelse nr. 437 af 6. juni 2005 om vejtransport af farligt gods, as amended.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-DK-3

საგანი: RO-bi-UK-1-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bekendtgørelse nr. 437 af 6. juni 2005 om vejtransport af farligt gods, as amended.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

EL საბერძნეთი

RO-bi-EL-1

საგანი: 31/12/2001 წლამდე რეგისტრირებული სტაციონარული ცისტერნების (ავტოცისტერნების) მიმართ უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების ნაწილობრივი გაუქმება ზოგიერთი კატეგორიის მცირე რაოდენობის სახიფათო ტვირთების ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 1.6.3.6, 6.8.2.4.2, 6.8.2.4.3, 6.8.2.4.4, 6.8.2.4.5, 6.8.2.1.17-6.8.2.1.22, 6.8.2.1.28 6.8.2.2, 6.8.2.2.1, 6.8.2.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები სტაციონარული ცისტერნების (ავტოცისტერნების), მოსახსნელი ცისტერნების და ფოლადის კორპუსის მქონე ცისტერნა-კონტეინერების, ელექტრომობილებისა და მრავალელემენტიანი აირის კონტეინერების კონსტრუქციის, აღჭურვილობის, ტიპის დამტკიცებისა და მარკირების მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გარდამავალი დებულება: სტაციონარული ცისტერნები (ავტოცისტერნები), მოსახსნელი ცისტერნები და ცისტერნა-კონტეინერები, რომლებიც პირველად იყო აყვანილი აღრიცხვაზე საბერძნეთში 1985 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე, შეიძლება იყოს მიმოქცევაში 2010 წლის 31 დეკემბრამდე. მოცემული გარდამავალი დებულება ეხება შემდეგი სახიფათო მასალების გადასაზიდ სატრანსპორტო საშუალებებს (გაეროს №1202, 1268, 1223, 1863, 2614, 1212, 1203, 1170, 1090, 1193, 1245, 1294, 1208, 1230, 3262, 3257). ის გათვალისწინებულია მცირე რაოდენობით ან ადგილობრივი გადაზიდვებისთვის სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც აყვანილია აღრიცხვაზე აღნიშნულ პერიოდში. მოცემული გარდამავალი დებულება ძალაში რჩება ავტოცისტერნების მიმართ შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

1. ADR-ის პუნქტები შემოწმებასა და გამოცდასთან დაკავშირებით: ქვეპუნქტები 6.8.2.4.2, 6.8.2.4.3, 6.8.2.4.4, 6.8.2.4.5 (ADR 1999: 211.151, 211.152, 211.153, 211.154).
2. 3500 ლ-მდე ტევადობის ცისტერნისთვის კედლის მინიმალური სისქე 3 მმ და 6000 ლ-მდე ტევადობის ცისტერნისთვის ნახშირბადმცირე ფოლადის კედლის სისქე არანაკლებ 4 მმ, მიუხედავად ტიხრების ტიპის თუ სისქისა.

3. თუ ცისტერნები დამზადებულია ალუმინის ან სხვა ლითონისგან, აუცილებელია შესაბამისობა სისქესთან დაკავშირებით ან სხვა ტექნიკურ მოთხოვნებთან, რომლებიც მითითებულია იმ სახელმწიფოს ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დამტკიცებულ სამუშაო დოკუმენტაციაში, სადაც ისინი იყვნენ აღრიცხვაზე. თუ სამუშაო დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი, ცისტერნები უნდა შეესაბამებოდეს 6.8.2.1.17 (211.127) ქვეპუნქტის მოთხოვნებს.
4. ცისტერნები უნდა შეესაბამებოდეს 211.128, 6.8.2.1.28 (211.129) ქვეპუნქტების, 6.8.2.2 პუნქტის 6.8.2.2.1 და 6.8.2.2.2 (211.130, 211.131) ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

კერძოდ კი, ავტოცისტერნები 4 ტ ნაკლები მასით და კედლის სისქით 3 მმ ნაკლები, რომლებიც გამოიყენება გაზოილის (გაეროს №1202) მხოლოდ ადგილობრივი გადაზიდვებისთვის და პირველად აყვანილია აღრიცხვაზე 2002 წლის 31 დეკემბრამდე, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ 211.127 (5)b4 (6.8.2.1.20)-ის შესაბამისად გადაკეთების შემდეგ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: Τεχνικές Προδιαγραφές κατασκευής, εξοπλισμού και ελέγχων των δεξαμεμών μεταφοράς συσκευασμένων κατηγοριών επικινδύνων εμπορευμάτων για σταθερές δεξαμενές (οχήματα-δεξαμενές), απισυναρμολογούμενες δεξαμενές που βρίσκονται σε κυκλοφορία (მოთხოვნები სტაციონარული ცისტერნების (ავტოცისტერნების) და მოსახსნელი ცისტერნების დამზადების, აღჭურვის, შემოწმებისა და გამოცდის მიმართ ზოგიერთი კატეგორიის სახიფათო ტვირთებისთვის გამოყენების შემთხვევაში).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-EL-2

საგანი: იმ საბაზისო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ კონსტრუქციული მოთხოვნების ნაწილობრივი გაუქმება, რომლებიც განკუთვნილია სახიფათო ტვირთების ადგილობრივი გადაზიდვებისთვის და პირველად აყვანილია აღრიცხვაზე 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

მითითება დირექტივის 2008/68/EC I.1 კარის I დანართზე: ADR 2001: პუნქტები 9.2, 9.2.3.2, 9.2.3.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები საბაზისო სატრანსპორტო საშუალებების დამზადების მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ნაწილობრივი გაუქმება მოქმედებს სახიფათო ტვირთების ადგილობრივი გადაზიდვებისთვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალებების მიმართ (გაეროს №1202, 1268, 1223, 1863, 2614, 1212, 1203, 1170, 1090, 1193, 1245, 1294, 1208, 1230, 3262 და 3257), რომლებიც პირველად აყვანილია აღრიცხვაზე 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს 94/55/EC დირექტივის ბ დანართის მე-9 მუხლის (ქვეპუნქტები 9.2.1-9.2.6) მოთხოვნებს, შემდეგი დებულებების გარდა:

9.2.3.2 ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე არის ქარხანა-დამამზადებლის ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ელექტრონული მართვის სამუხრუჭე სისტემას, რაც დადგენილია ქვეპუნქტში 9.2.3.3.1, მაგრამ არ არის აუცილებელი მისი შესაბამისობა 9.2.3.3.2 და 9.2.3.3.3 ქვეპუნქტებთან.

ტაქსოგრაფის ელექტროკვება უნდა იქნას უზრუნველყოფილი უშუალოდ აკუმულატორთან შეერთებული დამცავი ტიხრიდან (შენიშვნა 220 514), ხოლო ბალანსირის ღერძის ამწე მექანიზმის ელექტროალჭურვილობა უნდა იყოს დაყენებული სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის მიერ დამონტაჟებულ ადგილზე და უნდა იყოს დაცული შესაბამისი ჰერმეტიკული გარსაცმით (შენიშვნა 220 517).

დიზელის საწვავის ადგილობრივი გადაზიდვებისთვის განკუთვნილი ავტოციტერნები მაქსიმალური მასით 4 ტ ნაკლები (გაეროს №1202) უნდა შეესაბამებოდეს 9.2.2.3, 9.2.2.6, 9.2.4.3 და 9.2.4.5 ქვეპუნქტების მოთხოვნებს, და არ არის აუცილებელი მათი შესაბამისობა სხვა მოთხოვნებთან.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: Τεχνικές Προδιαγραφές ήδη κυκλοφορούντων οχημάτων που διενεργούν εθνικές μεταφορές ορισμένων κατηγοριών επικινδύνων εμπορευμάτων (ტექნიკური მოთხოვნები მიმოქცევაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომლებიც გამოიყენება გარკვეული კატეგორიის სახიფათო ტვირთების ადგილობრივი გადაზიდვებისათვის).

შენიშვნა: ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა უმნიშვნელოა აღრიცხვაზე აყვანილი სატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობასთან შედარებით. გარდა ამისა, ეს სატრანსპორტო საშუალებები განკუთვნილია მხოლოდ ადგილობრივი გადაზიდვებისათვის. ნაწილობრივი გაუქმების მიღებისას გათვალისწინებულია, რომ მოცემული სატრანსპორტო საშუალებების პარკის ზომა და გადასაზიდი ტვირთების ტიპი არ შეუქმნის საფრთხეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

ES ესპანეთი

RO-bi-ES-2

საგანი: უწყლო ამიაკის მისაწოდებლად განკუთვნილი სპეციალური აღჭურვილობა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 6.8.2.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: გარე ჩამკეტი არმატურის (საავარიო გაჩერების მილები, გვერდითი მექანიზმები) დაზიანების შემთხვევაში შიგთავსის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად შიდა ჩამკეტი სარქველი და მისი ბუდე უნდა იყოს დაცული ამოხრახნისგან გარე დატვირთვებისას ან გათვლილი წინააღმდეგობაზე ამ დატვირთვებისადმი. შევსებისა და ჩამოსაშვები მოწყობილობები (მილტუჩებისა და კუთხვილიანი სახშობების ჩათვლით) და დამცველი სარქველები (თუ გამოყენებულია) უნდა იყოს დაცული უნებლიე გახსნისგან.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სოფლის მეურნეობის დანიშნულების ცისტერნები უწყლო ამიაკის მისაწოდებლად და გამოსაყენებლად, რომლებიც შემოდებულია ექსპლუატაციაშია 1992 წლის 1 იანვრიდან, შიდა არმატურის ნაცვლად შეიძლება იყოს აღჭურვილი გარე დამცველი არმატურით, რომელიც უზრუნველყოფს არანაკლებ ცისტერნის კედლის ეკვივალენტურ დაცვას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Real Decreto 551/2006. Anejo 1. Apartado 3.*

შენიშვნა: 1997 წლის 1 იანვრამდე ცისტერნები გარე დამცველი არმატურით გამოიყენებოდა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში უწყლო ამიაკით ნიადაგის უშუალო განოყიერებისთვის. ამჟამად ჯერ კიდევ გამოიყენება ასეთი ცისტერნების სხვადასხვა ტიპები. მათი გადაყვანა დატვირთულ მდგომარეობაში იშვიათად ხდება და გამოიყენება მხოლოდ სასუქის გადასაზიდად დიდ ფერმებზე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2016 წლის 29 თებერვალი.

FI ფინეთი

RO-bi-FI-1

საგანი: მონაცემების შეცვლა ფეთქებადი ნივთიერებების სატრანსპორტო დოკუმენტში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.2.1(ა)

დირექტივის დანართის შინაარსი: განსაკუთრებული დებულებები პირველი კლასისთვის.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტში ნებადართულია დეტონატორების რაოდენობის მითითება (1000 დეტონატორი შეესაბამება 1 კგ ფეთქებად ნივთიერებას) ფეთქებადი ნივთიერების ფაქტიური მასა ნეტოს ნაცვლად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Liikenne- ja viestintäministeriön asetus vaarallisten aineiden kuljetuksesta tiellä (277/2002; 313/2003).*

შენიშვნა: ეს ინფორმაცია საკმარისია შიდა გადაზიდვებისათვის. ნაწილობრივი გაუქმება, ძირითადად, ეხება აფეთქების დარგს და გამოიყენება მცირე მოცულობების ადგილობრივი გადაზიდვების მიმართ.

ნაწილობრივი გაუქმება რეგისტრირებულია ევროპული კომისიის მიერ N31.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-FI-2

საგანი: RO-bi-SE-10-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-FI-3

საგანი: RO-bi-DE-1-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2016 წლის 29 თებერვალი.

FR საფრანგეთი

RO-bi-FR-1

საგანი: საზღვაო დოკუმენტის გამოყენება სატრანსპორტოს სახით მოკლე მანძილზე გადაზიდვების განხორციელებისას ხომალდიდან გადმოტვირთვის შემდეგ.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ინფორმაცია აისახება დოკუმენტში, რომელიც გამოიყენება როგორც სატრანსპორტო დოკუმენტი სახიფათო ტვირთებზე.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: საზღვაო დოკუმენტი გამოიყენება სატრანსპორტოს სახით 15 კმ-ის რადიუსში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 1 er juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par route — Article 23-4.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-FR-3

საგანი: გათხევადებული აირის შესანახი სტაციონარული ცისტერნების გადაზიდვა (18).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გათხევადებული აირის შესანახი სტაციონარული ცისტერნების გადაზიდვა რეგულირდება განსაკუთრებული წესებით. გამოიყენება მხოლოდ მოკლე მანძილზე განსახორციელებელი გადაზიდვების მიმართ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 1 er juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par route — Article 30.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-FR-4

საგანი: მძღოლების მომზადების და სატრანსპორტო საშუალების ტიპის დამტკიცების სპეციფიკური პირობები სოფლის მეურნეობის საჭიროებებისთვის განკუთვნილი გადაზიდვებისას (მოკლე მანძილზე).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 6.8.3.2 ; 8.2.1 და 8.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: ცისტერნების აღჭურვა და მძღოლების მომზადება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი:

სატრანსპორტო საშუალების ტიპის დამტკიცების განსაკუთრებული პირობები.

მძღოლების სპეციალური მომზადება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 1 er juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par route — Article 29-2 — Annex D4.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

IE ირლანდია

RO-bi-IE-1

საგანი: 5.4.1.1.1 ქვეპუნქტის მოთხოვნებისგან განთავისუფლება სატრანსპორტო დოკუმენტში შემდეგი მონაცემების მითითებით: i) ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი; ii) ტარის რაოდენობა და აღწერა და ii) სახიფათო ტვირთის საერთო რაოდენობა გაეროს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრებით 1223, 1202 და 1965 ნავთის, დიზელის საწვავის ან გათხევადებული ნავთობის აირის მიწოდებისას საბოლოო მომხმარებლისთვის.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 5.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: დოკუმენტაცია.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ADR-ის ბ დანართის ბ.5 დამატებით დადგენილი გაეროს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრებით 1223, 1202, 1965 ნავთის, დიზელის საწვავის ან გათხევადებული ნავთობის აირის მიწოდებისას საბოლოო მომხმარებლისთვის ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა იქნას მითითებული ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი, ტარის, საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერების ან რეზერვუარების რაოდენობა და აღწერა, აგრეთვე გადასატანი ტვირთის საერთო რაოდენობა.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(2) of the ‘Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004’.*

შენიშვნა: საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის გასათბობი საწვავის მიწოდებისას ზოგადად მიღებულია რეზერვუარის გავსება “პირამდე“, ვინაიდან დატვირთული ავტოცისტერნის გაგზავნის მომენტისთვის მომხმარებელთა რაოდენობა და ფაქტიური მოცულობა ცნობილი არ არის. საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის გათხევადებული ნავთობის აირის ბალონებით მიწოდებისას ცარიელი ბალონები ჩვეულებრივ იცვლება სავსე ბალონებით, ვინაიდან სატრანსპორტო ოპერაციის დაწყების მომენტში ცნობილი არ არის მომხმარებელთა რაოდენობა და ტვირთის მოცულობა ცალკეული მომხმარებლისთვის.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-IE-2

საგანი: სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია 5.4.1.1.1 ქვეპუნქტით, ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნების გადაზიდვისას შეიძლება იყოს იგივე, რაც ბოლო დატვირთვისას.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 5.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: დოკუმენტაცია.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნების გადაზიდვისას საკმარისია წინა დატვირთვის სატრანსპორტო დოკუმენტი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(3) of the 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'*.

შენიშვნა: განსაკუთრებით ბენზინის და/ან დიზელის საწვავის მიწოდებისას გასამართ სადგურებზე ავტოცისტერნა უნდა დაბრუნდეს ნავთობბაზაზე (შემდეგი დატვირთვის და შემდგომი მიწოდებისთვის) ბოლო ტვირთის მიწოდებისთანავე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-IE-3

საგანი: საზოგადოებრივ ადგილებში კომპეტენტური ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე სახიფათო ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის ნებართვა, რომელიც რეგულირდება სპეციალური დებულებებით CV1 ქვეპუნქტში 7.5.11 ან S1 პუნქტში 8.5.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 7.5 და 8.5.

დირექტივის დანართის შინაარსი: დამატებითი დებულებები დატვირთვისთან, გადმოტვირთვისთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სახიფათო ტვირთების დატვირთვა და გადმოტვირთვა საზოგადოებრივ ადგილებში ნებადართულია კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის გარეშე 7.5.11 ქვეპუნქტის და 8.5 პუნქტის მოთხოვნების ნაწილობრივი გაუქმების საფუძველზე.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(5) of the 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'*.

შენიშვნა: შიდა გადაზიდვების შემთხვევაში ეს დებულება კომპეტენტური ორგანოებისთვის არის ძალიან დამაბრკოლებელი.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-IE-5

საგანი: 7.5.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცისტერნებში B ჯგუფის შეთავსებადობის ნაკეთობების და D ჯგუფის შეთავსებადობის ნაკეთობების მე-3, მე-5.1 და მე-8 კლასის სახიფათო ტვირთებთან ერთად ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე “შერეული დატვირთვის აკრძალვისგან” განთავისუფლება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 7.5.

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებები დატვირთვისთან, გადმოტვირთვისთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ტარის გადაზიდვა ADR-ის პირველი კლასის B ჯგუფის შეთავსებადობის ნაკეთობებით და ADR-ის პირველი კლასის D ჯგუფის

შეთავსებადობის ნაკეთობებით შეიძლება განხორციელდეს მე-3, მე-5.1 და მე-8 კლასის სახიფათო ტვირთებთან ერთად ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე იმ პირობით, რომ (ა) ADR-ის პირველი კლასის აღნიშნული ტარის გადაზიდვა ხდება დამტკიცებული კონსტრუქციის განცალკევებულ კონტეინერებში/ნაკვეთურებში და კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნათა დაცვით, და (ბ) მე-3, მე-5.1 და მე-8 კლასის აღნიშნული ნივთიერებების გადაზიდვა ხდება რეზერვუარებში მათ კონსტრუქციასთან, დამზადებასთან, გამოცდასთან, შემოწმებასთან, ექსპლუატაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნათა დაცვის პირობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(7) of the 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'*.

შენიშვნა: ცისტერნებში B და D ჯგუფის შეთავსებადობის ნაკეთობების მე-3, მე-5.1 და მე-8 კლასის სახიფათო ტვირთებთან ერთად ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე გადაზიდვა ნებადართულია კომპეტენტური ორგანოების მიერ გათვალისწინებული პირობების დაცვით, ე.ი. ტუმბოთი აღჭურვილ ავტომობილებზე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-IE-6

საგანი: 4.3.4.2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცისტერნის კორპუსიდან გამოსაერთებელი და გადაზიდვის დროს ცარიელი დრეკადი ჩასასხმელი და ჩამოსაშვები სახელოების არსებობის მოთხოვნისგან განთავისუფლება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 4.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: ავტოცისტერნების გამოყენება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: არ არის აუცილებელი, რომ სახელოს კოჭები (მათ შორის მათთან დაკავშირებული სტაციონარული მილები), რომლებიც შეერთებულია ავტოცისტერნებთან, რომლებიც გამოიყენება გაეროს 1011, 1202, 1223, 1863 და 1978 საიდენტიფიკაციო ნომრების მქონე ნავთობპროდუქტების გადასაზიდდად, იყოს ცარიელი გადაზიდვის დროს შიგთავსის რაიმე სახით გაჟონვისგან თავდაცვის ზომების მიღების პირობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Regulation 82(8) of the 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'*.

შენიშვნა: საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის მიწოდებისას ავტოცისტერნების დრეკადი სახელოები უნდა იყოს შევსებული მთელი დროის განმავლობაში, გადაზიდვის პერიოდშიც კი. ჩამოსხმის სისტემა, რომელიც ცნობილია, როგორც “სველი შლანგი“, საჭიროებს მრიცხველისა და სახელოს შევსებას მომხმარებლის მიერ პროდუქტის ზუსტი რაოდენობის მიღების უზრუნველსაყოფად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-IE-7

საგანი: გაეროს №2067 კატეგორიის სასუქისთვის ამიაკის გვარჯილას დაუფასოებელი სახით პორტიდან ტვირთის მიმღებამდე გადაზიდვის მიმართ ADR-ის 5.4.0, 5.4.1.1.1 და 7.5.11 ქვეპუნქტის ზოგიერთი მოთხოვნისგან განთავისუფლება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 5.4.0, 5.4.1.1.1 და 7.5.11.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნა ცალკე სატრანსპორტო დოკუმენტის ტარების შესახებ ყოველ მგზავრობაზე კონკრეტული ტვირთის ზუსტი საერთო რაოდენობის მითითებით, აგრეთვე მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალების დასუფთავებასთან დაკავშირებით მგზავრობის წინ და მის შემდეგ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: შეთავაზებული ნაწილობრივი გაუქმება შესაძლებლობას გვაძლევს შევიტანოთ ცვლილებები ADR-ის მოთხოვნებში სატრანსპორტო დოკუმენტთან და სატრანსპორტო საშუალების დასუფთავებასთან დაკავშირებით და გათვალისწინებულ იქნას პორტიდან ტვირთის მიმღებამდე დაუფასოებელი სახით გადაზიდვის პრაქტიკული მხარეები.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Proposed amendment to 'Carriage of Dangerous Goods by Road Regulations, 2004'.*

შენიშვნა: ADR-ის დებულებები მოითხოვს (ა) ცალკე სატრანსპორტო დოკუმენტს კონკრეტული დატვირთვის სახიფათო ტვირთების საერთო მასის მითითებით და (ბ) დებულების CV24 დაცვა სატრანსპორტო საშუალების დასუფთავებასთან დაკავშირებით ყოველი დატვირთვის წინ პორტიდან ტვირთის მიმღებამდე გადაზიდვისას გემიდან დაუფასოებელი ტვირთის გადმოტვირთვის დროს. გადაზიდვის ადგილობრივი ხასიათის გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ხდება გემიდან დაუფასოებელი ტვირთის გადმოტვირთვა, იმავე ნივთიერების სატრანსპორტო საშუალებაზე მრაველჯერადი დატვირთვის ჩათვლით (იმავე დღეს ან შემდგომ დღეებში), გემიდან ტვირთის მიმღებამდე გადასაზიდად საკმარისია ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი ყოველი დატვირთვის მიახლოებითი საერთო მასის მითითებით. CV24-ის სპეციალური დებულების დაცვა ასევე არ არის საჭირო.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

LT ლიტვა

RO-bi-LT-1

საგანი: RO-bi-EL-1-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Lietuvos Respublikos Vyriausybės 2000 m. kovo 23 d. nutarimas Nr. 337 'Dėl pavojingų krovinių vežimo kelių transportu Lietuvoje'* (ხელისუფლების გადაწყვეტილება N337 ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების შესახებ, რომელიც მიღებულია 2000 წლის 23 მარტს).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-LT-2

საგანი: RO-bi-EL-2-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Lietuvos Respublikos Vyriausybės 2000 m. kovo 23 d. nutarimas Nr. 337 'Dėl pavojingų krovinių vežimo kelių transportu Lietuvos Respublikoje'* (ხელისუფლების გადაწყვეტილება N337 ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების შესახებ, რომელიც მიღებულია 2000 წლის 23 მარტს).

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

*NL ნიდერლანდები**RO-bi-NL-13*

საგანი: სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაზიდვის პირობები, 2004 წ.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 1.1.3.6, 3.3, 4.1.4, 4.1.6, 4.1.8, 4.1.10, 5.1.2, 5.4.0, 5.4.1, 5.4.3, 6.1, 7.5.4, 7.5.7, 7.5.9, მუხლები 8 და 9.

დირექტივის დანართის შინაარსი: გამონაკლისი გარკვეული რაოდენობებისთვის; განსაკუთრებული დებულებები; ტარის გამოყენება; დამატებითი გარე შეფუთვის გამოყენება; დოკუმენტაცია; ტარის დამზადება და შემოწმება; დატვირთვა, გადმოტვირთვა და გადაადგილება; მომსახურე პერსონალი; აღჭურვილობა; ოპერაციები; სატრანსპორტო საშუალებები და დოკუმენტაცია; სატრანსპორტო საშუალებების დამზადება და დამტკიცება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: 17 ძირითადი დებულება მცირე რაოდენობის შეგროვებული საყოფაცხოვრებო სახიფათო ნარჩენების გადაზიდვის შესახებ. ყოველი უმნიშვნელო რაოდენობების ცალკეული შეკრების, აგრეთვე შემადგენელი ნივთიერებების ნაირსახეობის გათვალისწინებით შეუძლებელია სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება ADR-ის წესების სრული დაცვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული პროცედურის გამარტივებული ვარიანტი, რაც იწვევს ADR-ის ზოგიერთი დებულების გაუქმებას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Scheme for transport of domestic hazardous waste 2004.*

შენიშვნა: მოცემული პროცედურა დადგენილი იყო იმ მიზნით, რომ კერძო პირებს მიეცეთ საშუალება ერთ ადგილზე განათავსონ მცირე რაოდენობის ქიმიური ნარჩენები. ეს ნივთიერებები შეიცავს ნარჩენებს, მაგალითად, საღებავის ნარჩენებს. საშიშროების დონე მინიმუმამდეა დაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების არჩევით, მათ შორის, კერძოდ, სპეციალური დეტალებისა და ნიშნების “მოწვევა აკრძალულია“ გამოყენება მოძრაობის სხვა მონაწილეთა გამაფრთხილებელ ყვითელ მოციმციმე შუქურასთან ერთად. ამ გადაზიდვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის უსაფრთხოების გარანტია, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგალითად, შეფუთვის დალუქვით, შხამიანი ორთქლის ან დაგროვების სატრანსპორტო საშუალებაში გაფრქვევის თავიდან ასაცილებლად. სატრანსპორტო

საშუალებები ასევე შეიძლება იყოს დაყოფილი სექციებად სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების შესანახად, რაც უზრუნველყოფს დაცვას შემთხვევით გადაადგილებისა და გახსნისგან მანევრირების დროს. გარდა ამისა, მიუხედავად ნარჩენების მცირე რაოდენობისა, სატრანსპორტო საშუალების მძღოლს უნდა ჰქონდეს პროფესიული მომზადების მოწმობა, გადასაზიდი ნივთიერებების ნაირსახეობის გათვალისწინებით. ამ ნივთიერებებთან დაკავშირებით საშიშროების დონის შესახებ კერძო პირების არასაკმარისი ცოდნის გამო საჭიროა მათთვის წერილობითი ინსტრუქციების გაცემა, სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების პირობების დანართებით გათვალისწინებული წესით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

PT პორტუგალია

RO-bi-PT-1

საგანი: სატრანსპორტო დოკუმენტაცია გაეროს №1965.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: საკუთარი გასაგზავნი დასახელება სატრანსპორტო დოკუმენტში, რომელიც გათვალისწინებულია RPE-ს პუნქტში 5.4.1 (Reglamento Nacional de Transporte de Mercadorias Perigosas por Estrada) სამრეწველო ბუტანსა და პროპანზე ერთიანი სათაურით “გაეროს №1965 ნახშირწყალბადის აირების ნარევი გათხევადებული, n.o.s., აირების გადასაზიდად ტევადობით, რომელიც სხვაგვარად არ არის მითითებული”, ბალონებში გადასაზიდი, შეიძლება შეიცვალოს შემდეგი სავაჭრო დასახელებებით:

“გაეროს №1965 ბუტანი“ A, A01, A02 და A0 ნარევისთვის RPE-ს 2.2.2.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელთა გადაზიდვა ხდება ბალონებში;

“გაეროს №1965 პროპანი“ C ნარევისთვის RPE-ს 2.2.2.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელთა გადაზიდვა ხდება ბალონებში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Despacho DGT 7560/2004, 16 April 2004, under Article 5, No 1, of Decreto-Lei No 267-A/2003 of 27 October.*

შენიშვნა: ცნობილ იქნა საჭიროდ კომერციული კომპანიებისთვის სახიფათო ტვირთებზე სატრანსპორტო დოკუმენტების შევსების გამარტივების აუცილებლობა ასეთი ოპერაციების უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის პირობით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-PT-2

საგანი: სატრანსპორტო დოკუმენტაცია ცარიელ გაუწმინდავ ცისტერნებსა და კონტეინერებზე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: უკან დაბრუნებისას ცარიელი ცისტერნებითა და კონტეინერებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შემდეგ, სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია RPE-ს პუნქტში 5.4.1, შეიძლება შეიცვალოს ტვირთის გადაზიდვის წინა სატრანსპორტო დოკუმენტით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Despacho DGT 15162/2004, 28 July 2004, under Article 5, No 1, of Decreto-Lei No 267-A/2003, of 27 October.*

შენიშვნა: RPE-ს მოთხოვნა სატრანსპორტო დოკუმენტის ტარებასთან დაკავშირებით ცარიელი ცისტერნებისა და კონტეინერების გადაზიდვისას, რომლებიც შეიცავდა სახიფათო ტვირთებს, ზოგიერთ შემთხვევაში ქმნის პრაქტიკულ სირთულეებს, რომელთა მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება უსაფრთხოებისთვის რისკის შექმნის გარეშე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

SE შედეგით

RO-bi-Se-1

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა სახიფათო ტვირთების გადამამუშავებელ ქარხანაში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: მუხლი 2, პუნქტები 5.2 და 6.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ტარის კლასიფიკაცია, ეტიკეტი და მარკირება, მოთხოვნები დამზადებასა და შემოწმებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კანონმდებლობა ითვალისწინებს კლასიფიკაციის გამარტივებულ კრიტერიუმებს, ტარის დამზადებასა და შემოწმებასთან დაკავშირებით ნაკლებად შემზღვეველ მოთხოვნებს და ეტიკეტსა და მარკირების მიმართ შეცვლილ მოთხოვნებს.

ADR-ის თანახმად კლასიფიკაციის ნაცვლად, სახიფათო ტვირთებს ენიჭება სხვადასხვა ჯგუფები. ნარჩენების ყველა ჯგუფი ითვალისწინებს ნივთიერებებს, რომლებიც ADR-ის შესაბამისად შეიძლება იყოს დაფასოებული ერთად (შერეული შეფუთვა). ტარის ყოველ ერთეულზე გაეროს ნომრის ნაცვლად უნდა იყოს ნარჩენების შესაბამისი ჯგუფის აღმნიშვნელი კოდი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: აღნიშნული წესების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სახიფათო ტვირთების გადაზიდვების მიმართ მეორადი ნედლეულის შეგროვების პუნქტებიდან სახიფათო ტვირთების გადამამუშავებელ ქარხანამდე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-2

საგანი: ტვირთის გამგზავნის დასახელება და მისამართი სატრანსპორტო დოკუმენტში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 5.4.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ზოგადი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სატრანსპორტო დოკუმენტისთვის.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ტვირთის გამგზავნის დასახელებისა და მისამართის მითითება აუცილებელი არ არის, თუ ცარიელი გაუწმინდავი ტარა ბრუნდება რეალიზაციის სისტემის ფარგლებში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: დასაბრუნებელი ცარიელი გაუწმინდავი ტარა უმრავლეს შემთხვევაში ჯერ კიდევ შეიცავს მცირე რაოდენობის სახიფათო ტვირთებს.

მოცემული ნაწილობრივი გაუქმება ძირითადად გამოიყენება წარმოებაში, როდესაც ცარიელი გაუწმინდავი აირის ბალონების დაბრუნება ხდება სავსე ბალონების სანაცვლოდ.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-3

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა საწარმოო მოედნებთან უშუალო სიახლოვეში, მათ შორის საერთო სარგებლობის გზებზე სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები საერთო სარგებლობის გზებზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა საწარმოო მოედნებთან უშუალო სიახლოვეში, მათ შორის საერთო სარგებლობის გზებზე სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის. ნაწილობრივი გაუქმება ეხება ტარის მარკირებას, სატრანსპორტო დოკუმენტებს, მართვის მოწმობასა და შესაბამისობის სერტიფიკატს მე-9 მუხლის თანახმად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: ზოგიერთი სიტუაცია, როდესაც სახიფათო ტვირთების გადატანა ხდება საერთო სარგებლობის გზის სხვადასხვა მხარეს მდებარე ქვედანაყოფებს შორის. ასეთი სახის გადაზიდვა არ წარმოადგენს სახიფათო ტვირთების გადაზიდვას კერძო გზებზე და უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს. ასევე შეესაბამება 96/49/EC დირექტივის მე-6(14) მუხლს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-4

საგანი: სახელისუფლებო ორგანოების მიერ დაკავებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მოთხოვნებისგან გადახვევა ნებადართულია, თუ ეს დასაბუთებულია შრომის დაცვით, გადმოტვირთვის დროს რისკებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით და ა.შ.

მოთხოვნებისგან გადახვევა ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების სათანადო დონე გადაზიდვის ნორმალური პირობების შემთხვევაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: მოცემული ნაწილობრივი გაუქმების გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოებს სახიფათო ტვირთების დაკავებისას.

მოცემული ნაწილობრივი გაუქმება ითვალისწინებს ადგილობრივ გადაზიდვებს, მაგალითად, პოლიციის მიერ დაკავებულ ისეთ ტვირთებს, როგორცაა ფეთქებადი ნივთიერებები ან მოპარული საკუთრება. ამ ტიპის ტვირთებთან დაკავშირებული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ რთულია მათი კლასიფიცირება. გარდა ამისა, ტვირთი ხშირად არ არის შეფუთვაში, მას არ აქვს მარკირება ADR-ის თანახმად. პოლიციის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება რამდენიმე ასეული ასეთი გადაზიდვა. კონტრაბანდული სპირტიანი სასმელების შემთხვევაში, საჭიროა ტვირთის გადატანა დაკავების ადგილიდან მტკიცებულებათა შენახვის შენობამდე, შემდეგ კი განადგურების ადგილამდე. ბოლო ორი პუნქტი შეიძლება იყოს ერთმანეთისგან მოშორებით. ნებადართული გადახვევა: (ა) არ არის აუცილებელი ტარის ყოველი ერთეულის მარკირება და (ბ) არ არის აუცილებელი დამტკიცებული ტარის გამოყენება. მაგრამ ასეთი ტარის ყველა ქვეშე უნდა იყოს სწორი აღნიშვნები. ყველა სხვა მოთხოვნა უნდა იყოს დაცული. ყოველწლიურად ხორციელდება დაახლოებით 20 ასეთი ტიპის გადაზიდვა.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-5

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა პორტების ტერიტორიაზე და მათთან უშუალო სიახლოვეს.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 8.1.2, 8.1.5, 9.1.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო მოწყობილობის თანმხლები დოკუმენტები; სახიფათო ტვირთის შემცველი ყოველი სატრანსპორტო მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი სპეციალური აღჭურვილობით; ნებართვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი:

სატრანსპორტო მოწყობილობაში დოკუმენტების შენახვა არ არის სავალდებულო (მართვის მოწმობის გარდა).

არ არის სავალდებულო სატრანსპორტო მოწყობილობის აღჭურვა 8.1.5 ქვეპუნქტის შესაბამისად.

ტრაქტორზე შეიძლება არ იყოს გაცემული დამტკიცების სერტიფიკატი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: ასევე შეესაბამება 96/49/EC დირექტივის მე-6(14) მუხლს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-6

საგანი: ინსპექტორების მომზადების მოწმობა ADR-ის შესაბამისად.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 8.2.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა უნდა გაიარონ სასწავლო კურსები.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ინსპექტორები, რომლებიც ატარებენ სატრანსპორტო საშუალების ყოველწლიურ ტექნიკურ შემოწმებას, არ უნდა გადიოდნენ მე-8.2 პუნქტით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს და არ საჭიროებენ მომზადების მოწმობას ADR-ის შესაბამისად.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური დათვალიერების გავლისას შეიძლება იყოს სახიფათო ტვირთები, მაგალითად, ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნები.

1.3 პუნქტით და 8.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ძალაშია.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-7

საგანი: გაეროს ნომრით 1202, 1203 და 1223 ნივთიერებების ავტოცისტერნებით ადგილობრივი რეალიზაცია.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტები 5.4.1.1.6, 5.4.1.4.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ცარიელი გაუწმინდავი ცისტერნების და ცისტერნა-კონტეინერების აღნიშვნა უნდა განხორციელდეს 5.4.1.1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად. სხვადასხვა ტვირთის მიმღებების დასახელება და მისამართი შეიძლება შეტანილ იქნას სხვა დოკუმენტებში.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ცარიელ გაუწმინდავ ცისტერნებსა თუ ცისტერნა-კონტეინერებისთვის სატრანსპორტო დოკუმენტში აღნიშვნა საჭირო არ არის 5.4.1.1.6 ქვეპუნქტის თანახმად, თუ დატვირთვის გეგმაში ნივთიერების რაოდენობა აღნიშნულია 0-ით. არ არის საჭირო ტვირთის მიმღებების დასახელება და მისამართი რომელიმე დოკუმენტში, რომელიც თან ახლავს სატრანსპორტო საშუალებას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-9

საგანი: ადგილობრივი გადაზიდვები სოფლის მეურნეობის საჭიროებებისთვის ან სამშენებლო მოედნებზე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 5.4, 6.8 და ქვეპუნქტი 9.1.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: სატრანსპორტო დოკუმენტი; ცისტერნების დამზადება; დამტკიცების სერტიფიკატი.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ადგილობრივი გადაზიდვების დროს სოფლის მეურნეობის საჭიროებებისთვის ან სამშენებლო მოედნებზე ნებადართულია შემდეგი გადახვევები მოთხოვნებიდან:

- (ა) არ მოითხოვება დეკლარაცია სახიფათო ტვირთებზე;
- (ბ) ჯერ კიდევ შეიძლება იყოს მიმოქცევაში ძველი ტიპის ცისტერნები/კონტეინერები, რომლებიც არ არის დამზადებული მე-6.8 პუნქტის შესაბამისად, მაგრამ დამზადებულია ადრე მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით და დამაგრებული სამსახურეობრივ ვაგონებზე;
- (გ) ადგილობრივი გადაზიდვებისთვის და საგზაო სამუშაოების ჩატარების ადგილთან უშუალო სიახლოვეს შეიძლება გამოყენებულ იქნას ძველი ტიპის ავტოცისტერნები, რომლებიც არ შეესაბამება მე-6.7 და მე-6.8 პუნქტის მოთხოვნებს და განკუთვნილია გაეროს №1268, 1999, 3256 და 3257 ნივთიერებების გადასაზიდვად, გზის საფარზე ან მისი მოწყობის გარეშე;
- (დ) არ არის საჭირო ნებართვები სამსახურეობრივ ვაგონებზე და ავტოცისტერნებზე გზის საფარზე ან მისი მოწყობის გარეშე;

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: სამსახურეობრივი ვაგონი წარმოადგენს საცხოვრებელი ავტომისაბმელის ნაირსახეობას მუშების ბრიგადისთვის განკუთვნილი ოთახით, რომელიც აღჭურვილია ტყის მეურნეობის ტრაქტორების სამუშაოდ განკუთვნილი ცისტერნით/კონტეინერით დიზელის საწვავისთვის.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-10

საგანი: ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა ცისტერნებში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 4.1.4.

დირექტივის დანართის შინაარსი: ფეთქებადი ნივთიერებების შეფუთვა ნებადართულია მხოლოდ 4.1.4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ გაიცემა ნებართვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შესახებ ცისტერნებში ფეთქებადი ნივთიერებების გადასაზიდვად. ნებადართულია მხოლოდ იმ ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა ცისტერნებში, რომლებიც ჩამოთვლილია რეგლამენტში ან ცალკე დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ცისტერნებში ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა იყოს გაკეთებული აღნიშვნა 5.3.2.1.1, 5.3.1.1.2 და 5.3.1.4 ქვეპუნქტების შესაბამისად. სატრანსპორტო მოწყობილობიდან მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალება შეიძლება შეიცავდეს სახიფათო ტვირთებს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Appendix S — Specific regulations for the domestic transport of dangerous goods by road issued in accordance with the Transport of Dangerous Goods Act and the Swedish regulation SÄIFS 1993:4.*

შენიშვნა: წინამდებარე დებულება გამოიყენება მხოლოდ შიდა გადაზიდვებთან დაკავშირებით ადგილობრივი სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებისას. ეს წესები მოქმედებდნენ ევროკავშირში შვედეთის შესვლამდე.

ცისტერნებში განთავსებული ფეთქებადი ნივთიერებებით სატრანსპორტო ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ ორი კომპანია. ახლო მომავალში მოსალოდნელია ემულსიაზე გადასვლა.

ადრე მოქმედი ნაწილობრივი გაუქმება N84.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-11

საგანი: მართვის მოწმობა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტი 8.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის მომზადებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მძღოლების მოსამზადებლად არ შეიძლება 8.2.1.1 ქვეპუნქტში მითითებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Appendix S — Specific regulations for the domestic transport of dangerous goods by road issued in accordance with the Transport of Dangerous Goods Act.*

შენიშვნა: ადგილობრივი გადაზიდვები.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-Se-12

საგანი: გაეროს №0335 ფეიერვერკის გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართი ბ, ქვეპუნქტი 7.2.4, V2 (1).

დირექტივის დანართის შინაარსი: დებულებები EX/II და EX/III ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: გაეროს №0335 ფეიერვერკის გადაზიდვისას 7.2.4 ქვეპუნქტის V2 (1)-ის განსაკუთრებული დებულებები გამოიყენება მხოლოდ 3000 კგ-ზე მეტი (4000 კგ მისაბმელით) სუფთა ფეთქებადი ნივთიერების შემცველობის მიმართ იმ პირობით, რომ ფეიერვერკი მიეკუთვნება გაეროს №0335 ფეიერვერკების სტანდარტული კლასიფიკაციის ცხრილის თანახმად, რომელიც მოცემულია სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებით გაეროს რეკომენდაციის მეთოთხმეტე დამუშავებული გამოცემის ქვეპუნქტში 2.1.3.5.5.

ასეთი მინიჭება უნდა იყოს შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოებთან. შესაბამისობის შემოწმება ტარდება სატრანსპორტო მოწყობილობაზე.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Appendix S — Specific regulations for the domestic transport of dangerous goods by road issued in accordance with the Transport of Dangerous Goods Act.*

შენიშვნა: ფეიერვერკის გადატანა შემოიფარგლება ორი ხანმოკლე პერიოდით წელიწადში - წლის ბოლო და აპრილის ბოლო/მაისის დასაწყისი. გადაზიდვა ტვირთის გამგზავნიდან სატვირთო ტერმინალამდე შეიძლება განხორციელდეს განსაკუთრებული სირთულეების გარეშე სატრანსპორტო საშუალებების არსებული პარკით, რომლებსაც აქვთ EX ტიპის ნებართვა. მიუხედავად ამისა, ფეიერვერკების გადაზიდვა ტერმინალებიდან სავაჭრო ცენტრამდე, აგრეთვე მათი ზედმეტი რაოდენობის ტერმინალში დაბრუნება შეზღუდულია EX ტიპის სატრანსპორტო საშუალებების უკმარისობის გამო. გადამზიდავები არ არიან დაინტერესებულნი ასეთი ნებართვების მისაღებად ინვესტიციების ჩადებით, რადგან ვერ დაფარავენ მის ხარჯებს. ეს საფრთხეს უქმნის ფეიერვერკების მიმწოდებლებს, რადგან მათ არ შეუძლიათ გაიტანონ თავიანთი პროდუქცია ბაზარზე.

მოცემული ნაწილობრივი გაუქმების გამოყენებით, საჭიროა განხორციელდეს ფეიერვერკების კლასიფიკაცია გაეროს რეკომენდაციების სტანდარტული ჩამანათვალის საფუძველზე, ბოლო კლასიფიკაციის მიღების მიზნით.

მსგავსი გამონაკლისები გაეროს №0335 ფეიერვერკისთვის მითითებულია 2005 წლის ADR-ის 3.3.1 ქვეპუნქტის სპეციალურ დებულებაში 651.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

UK გაერთიანებული სამეფო

RO-bi-UK-1

საგანი: საზოგადოებრივი სარგებლობის გზების გადაკვეთა სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას (N8).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები საზოგადოებრივი სარგებლობის გზებზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სახიფათო ტვირთების შესახებ რეგლამენტების მოთხოვნებისგან განთავისუფლება გზით გაყოფილ კერძო უბნებზე გადაზიდვებთან დაკავშირებით. მე-7 კლასისთვის მოცემული ნაწილობრივი გაუქმება არ გამოიყენება რადიოაქტიური მასალების შესახებ 2002 წლის რეგლამენტის ყველა დებულების მიმართ (საავტომობილო გადაზიდვები).

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 1996, Regulation 3 Schedule 2(3)(b); Carriage of Explosives by Road Regulations 1996, Regulation 3(3)(b).*

შენიშვნა: მოცემული სიტუაცია ხშირად გვხვდება ტვირთების გადატანისას გზის ორივე მხარეს განლაგებულ კერძო უბნებს შორის. ეს არ წარმოადგენს სახიფათო ტვირთების გადაზიდვას საზოგადოებრივი სარგებლობის გზებზე ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში რეგლამენტის დებულებები სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებით არ გამოიყენება.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-UK-2

საგანი: განთავისუფლება აკრძალვისგან სახიფათო ტვირთების შემცველი ტარის გახსნასთან დაკავშირებით მძღოლის ან მისი დამხმარის მიერ ადგილობრივი სარეალიზაციო ქსელის ფარგლებში მიწოდებისას ადგილობრივი საწყობიდან საცალო ვაჭრობის პუნქტამდე ან საბოლოო მომხმარებლამდე, აგრეთვე საცალო ვაჭრობის პუნქტიდან საბოლოო მომხმარებლამდე (მე-7 კლასის გარდა) (N11).

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: ქვეპუნქტი 8.3.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: აკრძალვა სახიფათო ტვირთების შემცველი ტარის გახსნასთან დაკავშირებით მძღოლის ან მისი დამხმარის მიერ.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ტარის გახსნის აკრძალვა შემოიფარგლება შემდეგი პირობით “იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნულის უფლებამოსილება მიენიჭა სატრანსპორტო კომპანიის მიერ“.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Carriage of Dangerous Goods by Road Regulations 1996, Regulation 12(3)*.

შენიშვნა: პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნულ აკრძალვას იმ სახით, როგორც ეს მოცემულია დანართში, შეუძლია შექმნას სერიოზული პრობლემები საცალო რეალიზაციის დროს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-UK-3

საგანი: ალტერნატიული დებულებები გაეროს №3065 ნივთიერების შემცველი ტარის III ჯგუფის ხის კასრების გადაზიდვის შესახებ.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: პუნქტები 1.4, 4.1, 5.2 და 5.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები შეფუთვისა და მარკირებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: 24%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 70% სპირტის შემცველი ალკოჰოლური სასმელების გადაზიდვა (ტარის III ჯგუფი) ნებადართულია ხის კასრებში, რომლებიც არ შეესაბამება გაეროს მოთხოვნებს, სახიფათო ტვირთების ეტიკეტის გარეშე, დატვირთვისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ უფრო მკაცრი მოთხოვნების დაცვის პირობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 7(13) and (14)*.

შენიშვნა: სახელმწიფოს მიერ აქციზით დასაბეგრი აღნიშნული მაღალფასიანი პროდუქციის გადაზიდვა სპირტიანი სასმელების ქარხნიდან საბაჟოს საწყობამდე უნდა მოხდეს საიმედო სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც დაილუქება სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მიერ. შეფუთვისა და მარკირების მიმართ მოთხოვნებისგან ნაწილობრივი განთავისუფლება გათვალისწინებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებით მოთხოვნებში.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-UK-4

საგანი: RO-bi-SE-12-ის მიღება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2007 Part 1*.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RO-bi-UK-5

საგანი: ძველი აკუმულატორების შეგროვება უტილიზაციის ან გადამუშავების მიზნით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის I.1 კარის I დანართზე: დანართები ა და ბ.

დირექტივის დანართის შინაარსი: განსაკუთრებული დებულება 636.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ნებადართულია თავი 3.3-ის 636-ე განსაკუთრებული დებულების გამოყენების შემდეგი ალტერნატიული პირობები:

გამოყენებული ლითიუმის ელემენტები და აკუმულატორები (გაეროს №3090 და გაეროს №3091), შეგროვებული და გადაცემული გადასაზიდად უტილიზაციის მიზნით შეგროვების პუნქტიდან გადამამუშავებელი დანადგარის შუალედურ ადგილამდე სხვა არალითიუმის ელემენტებთან ან აკუმულატორებთან (გაეროს №2800 და გაეროს №3028), არ ექვემდებარება ADR-ის სხვა დებულებებს შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

მათი შეფუთვა ხდება IH2 ტიპის დოლურებში ან 4H2 ტიპის ყუთებში, რომლებიც შეესაბამება მყარი საგნებისთვის განკუთვნილი შეფუთვის II ჯგუფს;

ყოველ ტარაში არ უნდა იყოს 5%-ზე მეტი ლითიუმის ან ლითიუმ-იონური ბატარეა;

ყოველი ტარის მაქსიმალური მასა ბრუტო არ უნდა აღემატებოდეს 25 კგ-ს;

ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე ტარის ერთეულის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 333 კგ-ს;

სხვა სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ნებადართული არ არის.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment 2007 Part 1.*

შენიშვნა: შეგროვების პუნქტები, როგორც წესი, არის საცალო სავაჭრო პუნქტებში, და ADR-ის შესაბამისად ძველი აკუმულატორების დახარისხებასა და შეფუთვისთან დაკავშირებით დიდი რაოდენობის პირების სწავლება მიზანშეწონილი არ არის. გაერთიანებულ სამეფოში უტილიზაციის სისტემა ფუნქციონირებს გაერთიანებულ სამეფოში გათვალისწინებული ნარჩენების უტილიზაციისა და რესურსების აღდგენის პროგრამის დებულებების შესაბამისად და ითვალისწინებს ADR-ის შესაბამისი შეფუთვის ინსტრუქციების გამოყენებას.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

▼B

*დანართი II***სარკინიგზო გადაზიდვები**

▼M3

II.1 RID

COTIF-ის გ დანართში წარმოდგენილ RID-ის დანართში, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან, იგულისხმება, რომ კონტექსტის მიხედვით “RID-ის ხელშემკვერელი სახელმწიფო“ შეცვლილია “წევრ სახელმწიფოდ“.

▼B

II.2 დამატებითი გარდამავალი დებულებები

1. წევრი სახელმწიფოებისთვის ნაწილობრივი გაუქმება, რომელიც გამოიყენება 96/49/EC დირექტივის მე-4 მუხლის საფუძველზე, შეიძლება ძალაში დარჩეს 2010 წლის 31 დეკემბრამდე, ან თუ ეს უფრო ადრე მოხდება, II.1 კარის II დანართში ცვლილებების შეტანამდე, სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით გაეროს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომელზეც გაკეთებულია მითითება მოცემულ მუხლში.
 2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ნებართვა მათ ტერიტორიაზე 2005 წლის 1 ივლისამდე დამზადებული ვაგონებისა და 1520/1524 მმ ზომის სარკინიგზო ცისტერნების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს, მაგრამ გამოშვებულია SMGS II დანართის ან 2005 წლის 30 ივნისამდე მოქმედი ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, ასეთი ვაგონების ექსპლუატაციის პროცესში უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის პირობით.
 3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ნებართვა 1997 წლის 1 იანვრამდე დამზადებული ვაგონებისა და სარკინიგზო ცისტერნების მათ ტერიტორიაზე გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს, მაგრამ გამოშვებულია 1996 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, ასეთი სარკინიგზო ცისტერნებისა და ვაგონების ექსპლუატაციის პროცესში უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის პირობით.
- 1997 წლის 1 იანვრამდე დამზადებული ვაგონები და სარკინიგზო ცისტერნები, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს, მაგრამ გამოშვებულია 96/49/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც

მოქმედებდნენ მათი გამოშვების მომენტისთვის, შეიძლება შემდგომში გამოყენებულ იქნას შიდა გადაზიდვებისთვის.

4. წევრ სახელმწიფოებს, სადაც გარემოს ტემპერატურა მუდმივად არის -20°C -ზე დაბლა, შეუძლია გამოიყენოს საკუთარ ტერიტორიაზე უფრო მკაცრი ნორმები იმ მასალების სამუშაო ტემპერატურის მიმართ, რომლებიც გამოიყენება სახიფათო ტვირთების შიდა სარკინიგზო გადაზიდვებისას გამოსაყენებლად განკუთვნილი პლასტიკური შეფუთვის, ცისტერნებისა და მათი აღჭურვილობის დასამზადებლად, წინამდებარე დირექტივის II.1 კარის II დანართში მოცემული კლიმატური ზონებისთვის შესაბამისი ნომინალური ტემპერატურების შესახებ დებულებების შეტანამდე.
5. წევრ სახელმწიფოებს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში შეუძლიათ დაიცვან ეროვნული დებულებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივით ნომინალური ტემპერატურების მიმართ გათხევადებული აირების ან გათხევადებული აირების ნარეგების გადაზიდვისას, ევროპულ სტანდარტებსა და წინამდებარე დირექტივის II.1 კარის II დანართში აღნიშნული კლიმატური რაიონებისთვის შესაბამისი ნომინალური ტემპერატურების შესახებ დებულებების შეტანამდე.
6. საკუთარ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სარკინიგზო ვაგონებით გადაზიდვებთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაიცვან 1996 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დებულებები საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესის კოდის აღნიშვნის შესახებ ან სახიფათო ტვირთის აღნიშნული ფირფიტის განთავსების შესახებ საშიშროების კლასის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების ადგილზე, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივის II.1 კარის II დანართში.
7. ლა-მანშის გვირაბით გადაზიდვებთან დაკავშირებით საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოს შეუძლიათ გამოიყენონ უფრო მკაცრი დებულებები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივით.
8. წევრ სახელმწიფოს შეუძლია ძალაში დატოვოს და მიიღოს დებულებები საკუთარ ტერიტორიაზე OSJD-ის ხელშემკვრელ მხარეებს შორის სახიფათო ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გასცენ გარანტია II.1 კარის II დანართით გათვალისწინებული უსაფრთხოების დონის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, შესაბამისი ზომებისა და ვალდებულებების მიღების გზით.

ევროკომისია აცნობებს სხვა წევრ სახელმწიფოებს ასეთი დებულებების შესახებ და უგზავნის მათ შესაბამის ინფორმაციას.

წინამდებარე დირექტივის ძალაში შესვლის მომენტიდან 10 წლის განმავლობაში ევროკომისია შეაფასებს წინამდებარე ქვეპუნქტში მოცემული დებულებების მოქმედების შედეგებს, და აუცილებლობის შემთხვევაში, მოხსენებასთან ერთად წარმოადგენს შესაბამის წინადადებებს.

9. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ძალაში დატოვონ ეროვნული შეზღუდვები დიოქსინებისა და ფურანების შემცველი ნივთიერებების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულია 1996 წლის 31 დეკემბერს.

▼M5

II.3 ეროვნული ნაწილობრივი გაუქმება

წევრი სახელმწიფოებისთვის ნაწილობრივი გაუქმება გამოიყენება მათ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით 2008/68/EC დირექტივის მე-6(2) მუხლის საფუძველზე.

ნაწილობრივი გაუქმებების ნუმერაცია: RA-a/bi/bii-MS-nn

RA = რკინიგზა;

a/bi/bii = მუხლი 6(2) a/bi/bii;

MS = შემოკლებით წევრი სახელმწიფო

nn = რიგითი ნომერი.

2008/68/EC დირექტივის მე-6(2)(a) მუხლის საფუძველზე:

DE გერმანია

RA-a-DE-2

საგანი: ნებართვა შერეულ შეფუთვაზე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 4.1.10.4 MP2.

დირექტივის დანართის შინაარსი: აკრძალვა შერეულ შეფუთვისასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კლასები 1.4S, 2, 3 და 6.1; ნებართვა 1.4S კლასის ნაკეთობების (მცირეკალიბრიანი იარაღის ვაზნები), აეროზოლების (კლასი 2) და მე-3 და 6.1-ე კლასის სარეცხი ნივთიერებების შერეული შეფუთვის შესახებ (გაეროს ნომრების სია), რომელთა რეალიზაცია ნებადართულია მცირე რაოდენობით, II ჯგუფის ტარის შერეულ შეფუთვაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmereordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 21.*

შენიშვნა: სიის №30*, 30ა, 30ბ, 30გ, 30დ, 30ე, 30ვ, 30ზ.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

FR საფრანგეთი

RA-a-FR-3

საგანი: გადაზიდვა სარკინიგზო გადაამზიდავის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ინფორმაცია ფეთქებადი მასალების შესახებ უნდა იყოს მითითებული სატრანსპორტო ზედნადებში.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სარკინიგზო გადამზიდვის მოთხოვნებიდან გამომდინარე 1.1.3.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში ტვირტის რაოდენობის გადაზიდვა არ საჭიროებს მითითებას ტვირტის დეკლარაციაში.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 5 juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par chemin de fer — Article 20.2.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-a-FR-4

საგანი: განთავსუფლება გარკვეული საფოსტო ვაგონების მარკირების მოთხოვნისგან.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ვალდებულება ვაგონის კედლებზე აღმნიშვნელი ფირფიტის დამაგრებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: აღმნიშვნელი ფირფიტის დამაგრება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საფოსტო ვაგონებზე, რომლებშიც განთავსებულია ერთი კლასის მასალის (გარდა 1, 6.2 ან 7) 3 ტონაზე მეტი ტვირტი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Arrêté du 5 juin 2001 relatif au transport des marchandises dangereuses par chemin de fer — Article 21.1.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

SE შვედეთი

RA-a-SE-1

საგანი: სარკინიგზო ვაგონები სახიფათო ტვირტით, როგორცაა ექსპრეს-მიწოდების ტვირტი, არ საჭიროებს მარკირებას ფირფიტებით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: სარკინიგზო ვაგონებზე, რომლებიც გამოიყენება სახიფათო ტვირტების გადასაზიდად, უნდა იყოს აღმნიშვნელი ფირფიტა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სარკინიგზო ვაგონები სახიფათო ტვირტით, როგორცაა ექსპრეს-მიწოდების ტვირტი, არ საჭიროებს მარკირებას ფირფიტებით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: RID-ში მოყვანილია შეზღუდვები ისეთი ტვირტის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია, როგორც სასწრაფო ტვირტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ დებულებით გათვალისწინებულია უმნიშვნელო რაოდენობის ტვირტი.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

UK გაერთიანებული სამეფო

RA-a-UK-1

საგანი: ნაკეთობების გადაზიდვა, რომლებიც შეიცავს დაბალი ხარისხის გარკვეულ რადიოაქტიურ ნივთიერებებს, როგორცაა კედლის, მაგიდის ან მაჯის საათი, კვამლის დეტექტორები, კომპასის ციფერბლატი.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: RID-ის მოთხოვნათა უმრავლესობა.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები მე-7 კლასის მასალების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: სრულად განთავისუფლება ეროვნული რეგლამენტის მოთხოვნებისგან განსაზღვრული კომერციული ნაკეთობების მიმართ, რომლებიც შეიცავს შეზღუდული რაოდენობის რადიოაქტიურ მასალას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Packaging, Labelling and Carriage of Radioactive Material by Rail Regulations 1996, Regulation 2(6) (as amended by Schedule 5 of the Carriage of Dangerous Goods (Amendment) Regulations 1999)*.

შენიშვნა: მოცემული ნაწილობრივი გაუქმება წარმოადგენს ხანმოკლე ზომას, რომელიც აღარ იქნება საჭირო RID-ში შესწორებების შეტანის შემდეგ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რეგლამენტის ცვლილებების შესაბამისად.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-a-UK-2

საგანი: შეზღუდვების შემსუბუქება ფეთქებადი ნივთიერებების შერეული ტვირთების, აგრეთვე სხვა სახიფათო ტვირთებთან ერთად ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვასთან დაკავშირებით ვაგონებით, სატრანსპორტო საშუალებებით და კონტეინერებით (N4/5/6).

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტები 7.5.2.1 და 7.5.2.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: გარკვეული ტიპების შერეული დატვირთვის შეზღუდვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს უფრო ნაკლებ შეზღუდვებს ფეთქებადი ნივთიერებების შერეული დატვირთვის მიმართ, ასეთი გადაზიდვების დროს რისკის გამორიცხვის პირობით.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Packaging, Labelling and Carriage of Radioactive Material by Rail Regulations 1996, Regulation 2(6) (as amended by Schedule 5 of the Carriage of Dangerous Goods (Amendment) Regulations 1999)*.

შენიშვნა: გაერთიანებული სამეფო გამოხატავს სურვილს დაუშვას ფეთქებადი ნივთიერებების შერეული მიწოდების და სხვა სახიფათო ტვირთებთან ერთად ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვის წესებისგან გადახვევა. ნებისმიერ გადახვევას ექნება რაოდენობრივი შეზღუდვა და იქნება ნებადართული მხოლოდ იმ პირობით, რომ “მიღებულია ყველა გონივრული ზომა ფეთქებად ნივთიერებებთან შეხების ან ასეთი

ტვირთისთვის ან ასეთი ტვირთებისგან სხვაგვარად საშიშროების შექმნის თავიდან ასაცილებლად“.

გადახვევების მაგალითები, რომლებიც შეიძლება იყოს ნებადართული გაერთიანებული სამეფოს მიერ:

1. გაეროს ნომრებით 0029, 0030, 0042, 0065, 0081, 0082, 0104, 0241, 0255, 0267, 0283, 0289, 0290, 0331, 0332, 0360 ან 0361 ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით გაეროს ნომრით 1942 სახიფათო ტვირთებთან ერთად. გადასაზიდად ნებადართული გაეროს ნომრით 1942 ტვირთების რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული, იმის გათვალისწინებით, რომ ის მიეკუთვნება 1.1D ფეთქებად ნივთიერებებს.
2. გაეროს ნომრებით 0191, 0197, 0312, 0336, 0403 ან 0453 ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთებთან (გარდა საწვავი აირისა, ინფექციური და ტოქსიკური ნივთიერებებისა) მე-2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით ან სახიფათო ტვირთებთან მე-3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით, აგრეთვე მათი ნებისმიერი კომბინაციით, თუ მე-2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაში სახიფათო ტვირთების საერთო მასა ან მოცულობა არ აღემატება 500 კგ ან ლიტრს, ხოლო ასეთი ფეთქებადი ნივთიერებების საერთო მასა ნეტო არ აღემატება 500 კგ-ს.
3. 1.4G კატეგორიის ფეთქებადი ნივთიერებების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ცეცხლსაშიშ სითხეებთან და საწვავ აირებთან ერთად მე-2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით ან არაალებად არატოქსიკურ აირებთან ერთად მე-3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით, აგრეთვე მათი ნებისმიერი კომბინაციით ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებით, თუ სახიფათო ტვირთების საერთო მასა ან მოცულობა ერთად არ აღემატება 200 კგ ან ლიტრს, ხოლო ფეთქებადი ნივთიერებების საერთო მასა ნეტო არ აღემატება 20 კგ-ს.
4. გაეროს ნომრებით 0106, 0107 ან 0257 ფეთქებადი ნაკეთობების გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს D, E და F შეთავსებადობის ჯგუფების ფეთქებად ნაკეთობებთან ერთად, რომელთა კომპონენტებსაც წარმოადგენენ. გაეროს ნომრებით 0106, 0107 ან 0257 ფეთქებადი ნივთიერებების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-a-UK-3

საგანი: ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე 1.1.3.1 ქვეპუნქტის 1 და 2 ცხრილებში მოცემული კატეგორიების პირველი კლასის ტვირთებისთვის სხვა მაქსიმალური საერთო რაოდენობის დაშვება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 1.1.3.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: განთავისუფლება სატრანსპორტო ოპერაციების ტიპთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: წესები ფეთქებადი ნივთიერების რაოდენობისა და შერეული დატვირთვის შეზღუდვის მოხსნის შესახებ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 3(7)(b)*.

შენიშვნა: პირველი კლასის ტვირთების რაოდენობისა და შერეული დატვირთვის გამრავლების კოეფიციენტის სხვა შეზღუდვების გამოყენება, კერძოდ კი, “50“ პირველი კატეგორიისთვის და “100“ მე-2 კატეგორიისთვის. შერეული ტიპის ტვირთების დატვირთვის შემთხვევაში გამოიყენება გამრავლების კოეფიციენტი “20“ პირველი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის და კოეფიციენტი “2“ მე-2 კატეგორიისთვის.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-a-UK-4

საგანი: RA-a-FR-6-ის მიღება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: ქვეპუნქტი 5.3.1.3.2.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხვენების შემსუბუქება ფირფიტის განთავსებასთან დაკავშირებით კომბინირებული ავტო- და სარკინიგზო გადაზიდვებისას.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მოთხოვნა ფირფიტის განთავსებასთან დაკავშირებით არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ფირფიტები კარგად იკითხება.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2004: Regulation 7(12)*.

შენიშვნა: მოცემული დებულება ტრადიციულად გათვალისწინებულია გაერთიანებული სამეფოს ეროვნული კანონმდებლობით.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-a-UK-5

საგანი: პირველად შეფუთვაში არსებული ტვირთების რეალიზაცია საცალო ვაჭრებსა თუ მომხმარებლებთან (გარდა 1, 4.2, 6.2 და 7 კლასის) ადგილობრივი საწყობებიდან საცალო ვაჭრობის პუნქტებამდე ან მომხმარებლებამდე და საცალო ვაჭრობის პუნქტებიდან საბოლოო მომხმარებლებამდე.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 6.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: მოთხოვნები შეფუთვის დამზადებასა და გამოცდასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: შეფუთვაზე არ საჭიროებს ნიშნის RID/ADR ან UN აღმნიშვნელის მითითებას.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *The Carriage of Dangerous Goods and Use of Transportable Pressure Equipment Regulations 2007: Regulation 26* .

შენიშვნა: RID-ის მოთხოვნა არ გამოიყენება გადაზიდვის საბოლოო ეტაპის მიმართ საწყობიდან საცალო ვაჭრობის პუნქტამდე ან მომხმარებლამდე ან საცალო ვაჭრობის პუნქტიდან საბოლოო მომხმარებლამდე. მოცემული ნაწილობრივი გაუქმება იძლევა გარე ტარის გარეშე პირველად შეფუთვაში საცალო ტვირთების რკინიგზით ადგილობრივი გადაზიდვის განხორციელების შესაძლებლობას.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

2008/68/EC დირექტივის მე-6(2)(b)(i) მუხლის საფუძველზე:

DE გერმანია

RA-bi-DE-2

საგანი: შეფუთვაში მოთავსებული სახიფათო ნარჩენების გადაზიდვა.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: მუხლები 1-5 .

დირექტივის დანართის შინაარსი: კლასიფიკაცია, შეფუთვა და მარკირება.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: მე-2-დან 6.1-მდე, მე-8 და მე-9 კლასი: ტარასა და საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების შერეული შეფუთვა და გადაზიდვა; ნარჩენები უნდა იყოს პირველად შეფუთვაში (შეგროვებისას) და დაყოფილი ნარჩენების გარკვეულ ჯგუფებად (ერთი ჯგუფის ნარჩენების ნივთიერებებს შორის საშიში რეაქციის თავიდან ასაცილებლად); სპეციალური წერილობითი ინსტრუქციების გამოყენება ნარჩენების ჯგუფებთან დაკავშირებით, სატრანსპორტო ზედნადების სახით; საყოფაცხოვრებო და ლაბორატორიული ნარჩენების შეგროვება და ა.შ.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Gefahrgut-Ausnahmeverordnung — GGAV 2002 vom 6.11.2002 (BGBl. I S. 4350); Ausnahme 20.*

შენიშვნა: სია N6*.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-bi-DE-3

საგანი: გაეროს ნომრით 1381 4.2-ე კლასის, შეფუთვის I ჯგუფის ნივთიერებების (ფოსფორი, ყვითელი, ჩაძირული) ადგილობრივი გადაზიდვა სარკინიგზო ცისტერნებით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 6.8, ქვეპუნქტი 6.8.2.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: ცისტერნებისა და ცისტერნების ვაგონების კონსტრუქციებისა და დაკავშირებული დებულებები. 6.8 თავის 6.8.2.3 ქვეპუნქტი საჭიროებს ტიპის დამტკიცებას UN 1381 გადამტანი ცისტერნებისთვის (ფოსფორი, ყვითელი, ჩაძირული).

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: UN 1381 (ფოსფორი, ყვითელი, ჩაძირული) ადგილობრივი ტრანსპორტირებისთვის. კლასი 4., შეფუთვის ჯგუფი I, მოკლე მანძილზე

(სასნიც-მუკრანიდან ლუთერშტადტ ვიტენბერგ-პიესტერიცამდე და ბიტერფელდამდე) რუსული სტანდარტების თანახმად კონსტრუირებულ სარკინიგზო ცისტერნა ვაგონებში. საქონლის ტრანსპორტირება ექვემდებარება კომპეტენტური უსაფრთხოების ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ დამატებით საოპერაციო დებულებებს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Ausnahme Eisenbahn-Bundesamt Nr. E 1/92.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2014 წლის 1 იანვარი.

DK დანია

RA-bi-DK-1

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა გვირაბებში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 7.5.

დირექტივის დანართის შინაარსი: დატვირთვა, გადმოტვირთვა და დამცავი მანძილები.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კანონმდებლობა ითვალისწინებს II დანართის II.1 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების ალტერნატიულ დებულებებს 2008/68/EC დირექტივაზე დიდი ბელტის ნაკადის გასწვრივ ფიქსირებული კავშირის სარკინიგზო გვირაბების გავლით გადაზიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ალტერნატიული დებულებები უკავშირდება მხოლოდ ტვირთის მოცულობასა და მანძილს სახიფათო ტვირთებს შორის.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bestemmelser om transport af eksplosiver i jernbanetunnelerne på Storebælt og Øresund, 15 February 2005*

შენიშვნა: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

RA-bi-DK-2

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა გვირაბებში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 7.5.

დირექტივის დანართის შინაარსი: დატვირთვა, გადმოტვირთვა და დამცავი მანძილები.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კანონმდებლობა ითვალისწინებს II დანართის II.1 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების ალტერნატიულ დებულებებს 2008/68/EC დირექტივაზე დიდი ბელტის ნაკადის გასწვრივ ფიქსირებული კავშირის სარკინიგზო გვირაბების გავლით გადაზიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ალტერნატიული დებულებები უკავშირდება მხოლოდ ტვირთის მოცულობასა და მანძილს სახიფათო ტვირთებს შორის.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Bestemmelser om transport af eksplosiver i jernbanetunnelerne på Storebælt og Øresund, 15 February 2005.*

შენიშვნა: —

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2016 წლის 29 თებერვალი.

CZ ჩეხეთის რესპუბლიკა

RA-bi- CZ-1

საგანი: გაეროს ნომრით 1381 4.2-ე კლასის, შეფუთვის I ჯგუფის ნივთიერებების (ფოსფორი, თეთრი ან ყვითელი, ჩაძირულ მდგომარეობაში ან ხსნარში) ადგილობრივი გადაზიდვა მოკლე მანძილზე კონტეინერი-ცისტერნებით.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 6.8, ქვეპუნქტი 6.8.2.3.

დირექტივის დანართის შინაარსი: ცისტერნა ვაგონების კონსტრუირებასთან დაკავშირებული დებულებები. 6.8 თავის 6.8.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები UN 1381 ნიშნით აღნიშნული ტვირთის გადამტან (ფოსფორი, თეთრი ან ყვითელი, ჩაძირულ მდგომარეობაში ან ხსნარში, კლასი 4.1, კლასიფიკაციის კოდი ST3, შეფუთვის ჯგუფი I) ცისტერნა ვაგონებთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: UN 1381 ნიშნით აღნიშნული ტვირთის (ფოსფორი, თეთრი ან ყვითელი, ჩაძირულ მდგომარეობაში ან ხსნარში, კლასი 4.1, კლასიფიკაციის კოდი ST3, შეფუთვის ჯგუფი I) გადატანა პეტროვიცე უ კარვინეს, ჩეხეთის რესპუბლიკა-პოლონეთის სახელმწიფო საზღვარზე მდებარე სადურიდან ბორი ლესის სადგურამდე, ტვირთის საერთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების თანახმად კონსტრუირებულ სარკინიგზო ცისტერნა-ვაგონებში. ტრანსპორტი ექვემდებარება შემდგომ საოპერაციო ღონისძიებებს, რომლებიც შესრულდება სარკინიგზო დაწესებულებების, ინფრასტრუქტურის მენეჯერისა და ინტეგრირებული სამაშველო სისტემის შესაბამისი დანაყოფების დონეზე.

მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: ტრანსპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული განთავისუფლება მოთხოვნებისგან.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2014 წლის 1 იანვარი.

SE შვედეთი

RA-bi-Se-1

საგანი: სახიფათო ტვირთების გადაზიდვა სახიფათო ტვირთების გადამამუშავებელ ქარხანაში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: მუხლი 2, პუნქტები 5.2 და 6.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ტარის კლასიფიკაცია, ეტიკეტი და მარკირება, მოთხოვნები დამზადებასა და შემოწმებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: კანონმდებლობა ითვალისწინებს კლასიფიკაციის გამარტივებულ კრიტერიუმებს, ტარის დამზადებასა და შემოწმებასთან დაკავშირებით ნაკლებად შემზღვეველ მოთხოვნებს და ეტიკეტსა და მარკირების მიმართ შეცვლილ მოთხოვნებს. RID-ის თანახმად კლასიფიკაციის ნაცვლად, სახიფათო ტვირთებს ენიჭება სხვადასხვა ჯგუფები. ნარჩენების ყველა ჯგუფი ითვალისწინებს ნივთიერებებს, რომლებიც RID-ის შესაბამისად შეიძლება იყოს დაფასოებული ერთად (შერეული

შეფუთვა). ტარის ყოველ ერთეულზე გაეროს ნომრის ნაცვლად უნდა იყოს ნარჩენების შესაბამისი ჯგუფის აღმნიშვნელი კოდი.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Särskilda bestämmelser om vissa inrikes transporter av farligt gods på väg och i terräng.*

შენიშვნა: აღნიშნული წესების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სახიფათო ტვირთების გადაზიდვების მიმართ მეორადი ნედლეულის შეგროვების პუნქტებიდან სახიფათო ტვირთების გადამამუშავებელ ქარხნამდე.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2015 წლის 30 ივნისი.

2008/68/EC დირექტივის მე-6(2)(b)(ii) მუხლის საფუძველზე:

DE გერმანია

RA-bii-DE-1

საგანი: UN 1051 ტვირთის - წყალბადის ციანიდის, სტაბილიზებულ, თხევად მდგომარეობაში, 1% ან უფრო ნაკლები წყლის მასის შემცველობით, ტრანსპორტირება სარკინიგზო ცისტერნა-ვაგონებში, რაც ცვლის 2008/68/EC დირექტივის 4.3.2.1.1. ქვეპუნქტის II დანართის II.1 კარს.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 3.2, ქვეპუნქტი 4.3.2.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: UN 1051 ტვირთის (წყალბადის ციანიდის) სტაბილიზებულ, თხევად მდგომარეობაში, 1% ან უფრო ნაკლები წყლის მასის შემცველობით, ტრანსპორტირების აკრძალვა.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ადგილობრივი ტრანსპორტირება სარკინიგზო გზით, სპეციალურად განსაზღვრული მარშრუტებით, დადგენილი სამრეწველო პროცესის ნაწილის სახით და კონტროლირებული გარკვევით განსაზღვრულ პირობებში. ტრანსპორტირება ხორციელდება ცისტერნა-ვაგონებში, რომელთა მიმართაც მინიჭებულია ლიცენზია კონკრეტულად აღნიშნული მიზნისთვის და რომელთა კონსტრუქციაც და ფიტინგებიც უწყვეტად არის ადაპტირებული უახლესი ასუფრთხოების ტექნოლოგიების თანახმად (მაგალითად, საავარო ბუფერებით აღჭურვა TE 22 შესაბამისად). ტრანსპორტირების პროცესს დეტალურად არეგულირებს დამატებითი უსაფრთხოების დებულებები შესაბამის უსაფრთხოებისა და საშიშროებისგან დამცავ ორგანოებთან შეთანხმებით, აღნიშნული პროცესის მეთვალყურეობას უზრუნველყოფენ შესაბამისი სამეთვალყურეო ორგანოები.

საწყისი მითითება ეროვნული კანონმდებლობის დებულებებზე: გამონაკლისი № E 1/97 (მეოთხე შესწორებული ვერსია), ფედერალური სარკინიგზო სამსახური.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2017 წლის 1 იანვარი.

DE გერმანია

RA-bii-DE-2

საგანი: UN 1402 ტვირთის (კალციუმის კარბიდი), შეფუთვის ჯგუფი I, განსაზღვრულ მარშრუტებზე ადგილობრივი ტრანსპორტირება, ვაგონებზე არსებულ კონტეინერებში.

მითითება 2008/68/EC დირექტივის II.1 კარის II დანართზე: პუნქტი 3.2, ქვეპუნქტი 7.3.1.1.

დირექტივის დანართის შინაარსი: ნაყარი ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები. 2.1 თავის ა ცხრილი არ იძლევა ნებართვას კალციუმის კარბიდის ნაყარი ტვირთის სახით გადაზიდვასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: UN 1402 ტვირთის (კალციუმის კარბიდის), შეფუთვის ჯგუფი I, ადგილობრივი ტრანსპორტირება, სპეციალურად განსაზღვრულ მარშრუტებზე, დადგენილი ინდუსტრიული პროცესის სახით და კონტროლირებული გარკვევით განსაზღვრულ პირობებში. ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება საგანგებოდ შექმნილ ვაგონებში, ტვირთის ტრანსპორტირება ექვემდებარება კომპეტენტური უსაფრთხოების ორგანოების მიერ წარმოდგენილ დამატებით საოპერაციო დებულებებს.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Ausnahme Eisenbahn-Bundesamt Nr. E 3/10.*

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2018 წლის 15 იანვარი.

▼**B***დანართი III***შიდა საწყალოსნო გადაზიდვები**▼**M3****III.1 ADN**

ADN-ის თანდართულ რეგლამენტში, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან, აგრეთვე ADN-ის მე-3(ვ), მე-3(თ), მე-8(1), მე-8(3) მუხლებში იგულისხმება, რომ “ხელშემკვრელი მხარე“ შეცვლილია “წევრ სახელმწიფოდ“.

▼**B****III.2 დამატებითი გარდამავალი დებულებები**

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაიცვან შეზღუდვები დიოქსინისა და ფურანის შემცველი ნივთიერებების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულია 2009 წლის 30 ივნისს.
2. III.1 კარის III(8.1) დანართის შესაბამისად, მე-7(2) მუხლით გათვალისწინებულ გარდამავალ პერიოდამდე ან მის განმავლობაში გაცემული სერტიფიკატი ძალაშია 2016 წლის 30 ივნისამდე, თუ თავად სერტიფიკატში არ არის მითითებული მოქმედების უფრო მოკლე პერიოდი.

▼**M5****III.3 ეროვნული ნაწილობრივი გაუქმება**

წევრი სახელმწიფოებისთვის ნაწილობრივი გაუქმება გამოიყენება მათ ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით 2008/68/EC დირექტივის მე-6(2) მუხლის საფუძველზე.

ნაწილობრივი გაუქმებების ნუმერაცია: IW-a/bi/bii-MS-nn

IW = შიდა საწყალოსნო გზა

a/bi/bii = მუხლი 6(2) a/bi/bii;

MS = შემოკლებით წევრი სახელმწიფო

nn = რიგითი ნომერი.

2008/68/EC დირექტივის მე-6(2)(b)(i) მუხლის საფუძველზე:

BG ბულგარეთი

IW-bi-BG-1

საგანი: ბუნკერის ტიპის ხომალდების კლასიფიკაცია და შემოწმება.

მითითება 2008/68/EC დირექტივის კარი III.1-ის დანართზე III: თავი 1.15

დირექტივის დანართის შინაარსი: 1.15 თავის - კლასიფიკაციის საზოგადოებების აღიარება - დებულებები, რაც მოითხოვს აღიარებას დაქვემდებარებულმა კლასიფიკაციის საზოგადოებამ მიმართოს შესაბამის პროცედურებს მისი აღიარების უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნული კანონმდებლობის შინაარსი: ბუნკერის ტიპის ხომალდების კლასიფიკაცია და შემოწმება ბენზინის პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ეწევიან საქმიანობას ბულგარეთის მდინარეების ნავსადგურებსა და სხვა არეალებში არსებულ წყლებში აღნიშნული ნავსადგურების უშუალო იურისდიქციის ქვეშ, რაც ხორციელდება იმ კლასიფიკაციის ორგანოს მიერ, რომელიც არ არის აღიარებული 2008/68/EC დირექტივის III.1 კარის, III დანართის, 1.15 თავის შესაბამისად, უფლებამოსილია წარმოადგინოს, რომ უსაფრთხოებას არ ექმნება რაიმე საფრთხე.

საწყისი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე: *Наредба № 16 от 20 юни 2006 г. за обработка и превоз на опасни товари по море и по вътрешни водни пътища; Наредба № 4 от 9 януари 2004 г. за признаване на организации за извършване на прегледи на кораби и корабоприематели (2006 წლის 26 ივნისის ბრძანებულება № 16 სახიფათო ტვირთების გადაზიდვა საზღვაო ან შიდა საწყალოსნო ტრანსპორტით; 2004 წლის 9 იანვრის ბრძანებულება № 4 ხომალდების დათვალიერებისა და ხომალდების მფლობელების შემოწმების ორგანოების აღიარების შესახებ).*

შენიშვნა: ნაწილობრივი გაუქმება გამოიყენება მხოლოდ იმ ხომალდების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს პორტის ზონაში ან ამ პორტის პირდაპირ დაქვემდებარებაში არსებულ სხვა ზონაში.

მოქმედების ვადის ამოწურვა: 2018 წლის 15 იანვარი.